ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  პარასკევი, 20 აგვისტო  1993 № 6 (53)  ფასი 70 კუპონი


# «დინამო» — «ლინფილდი» 19:2! 39:3! 2:1?!



მია ახალაძე

**„თბილისში დიდი ფეხბურთი დაბრუნდა“ — ბოლო დღეებში გაცვეთილი ეს ფრაზა დაზუსტებას მოითხოვს: თავისთავად დიდი, მომცრო, ან სულაც პაწაწინა ფეხბურთი არ არსებობს — ფეხბურთი ფეხბურთია და ბოლო ოთხი წლის მანძილზე არსადაც არ წასულა თბილისიდან, ახლა დაბრუნება რომ დასჭირვებოდა. თუ მაინცდამაინც ტერმინი „დიდი ფეხბურთი“ მოსწონს ვისმე, ისიც კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ დიდი ფეხბურთის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი ბევრი მაყურებელია. სწორედ რომ ბევრი მაყურებელი დაუბრუნდა ფეხბურთს და არა დიდი ფეხბურთი მაყურებელს...**

სათაურად გამოტანილი პირველი შეფარდება გუშინწინდელ მატჩში მოწოდებული კუთხურებისაა, მეორე — კარში დარტყმებისა, ორივე — „დინამოს“ სასარგებლოდ. კუთხურებს სულაც რომ თავი დავანებოთ, მეორე შეფარდებიდან არავითარი ლოგიკით არ გამომდინარეობს შეხვედრის ანგარიში — 2:1. მხოლოდ უიღბლობა ან სტუმართა მეკარის დიდოსტატობა არგუმენტად არ გამოგვადგება — აშკარა უპირატესობის მიუხედავად მინიმალური ანგარიშით გამარჯვების მიზეზი ჩვენივე გუნდის თამაშში უნდა მოვიძიოთ.

სასტარტო მღელვარებამ ორიოდ წუთს გასტანა: „დინამოს“ დაცვის ოდნავ ქაოსური თამაშის შემდეგ შელიამ პირველივე საჰაერო ბრძოლა მოუგო მეტოქეს — თითქოს გააფრთხილა, „მეორე სართულზე“ დღეს არაფერი გესაქმებათ, მე უნდა ვიბატონოო და აქვე შოთა არველაძემ დაუდო დასაბამი თბილისელთა ერთ, უგრძეს შეტევას — თითქმის ოთხმოცდაათ წუთს რომ გაგრძელდა.

პირველი ოთხი დარტყმა „ლინფილდის“ კარისკენ სწორედ შოთამ განახორციელა. უკვე მესამე წუთზე იგი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მერე თაური ააცილა ახლოდან, მეშვიდე წუთზე კი ინალიშვილის გრძელი პასი მიიღო საჯარიმო მოედნის კუთხეში, ისტონს ბურთი თავზე გადაუგდო, მაკკონელიც მოატყუა და მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით არცთუ ძლიერად, მაგრამ უზუსტესად დაარტყა — 1:0. შემდეგ ყაველაშვილის ჯერი დადგა — მე-15 წუთამდე მან ორჯერ ააცილა, ერთხელ თაური — ახლოდან.

„ლინფილდს“ მოედნის ცენტრში პრესინგის დაწესებით თავი არ მოუკლავს, საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან გამაგრდა ცხრა კაცით და „დინამოს“ ნახევარზე ერთადერთი „მსტოვარი“ — ჯონსტონი დატოვა. იგი ნემსაძემ ჩაიბარა და მთელი მატჩის მანძილზე უშეცდომოდ ითამაშა.

მეტოქის დაცვით ტაქტიკას „დინამომ“ პირველ ტაიმში ალლო ადვილად აუღო: მოედნის ცენტრში ბურთს არ აყოვნებდნენ და გრძელ პასებს აგზავნიდნენ ფლანგებზე. შელიამ, ინალიშვილმა და ჯამარაულმა ჯერ შეტევის მარჯვენა ფრთა „ამოიჩემეს“, სადაც რეზო არველაძე უშრობდა სისხლს „ლინფილდის“ მარცხენა [illegible] ისტონს. ტაიმის ბოლო[illegible] ყაველაშვილი „ამუშავდა“ მარცხენა ფრთაზე და არც სტუმართა კაპიტანს დორნანს დასდგომია ისტონზე უკეთესი დღე.

თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ცენტრიდან სტუმართა მასირებული დაცვის გარღვევა სათუო საქმე იყო, აქ შორიდან დარტყმების იმედად თუ იქნებოდა კაცი, მაგრამ „დინამომ“ შესვენებამდე მაინც მოახერხა შუა მოედნიდან საჯარიმოში შეღწევა — ჯერ ყაველაშვილმა მოატყუა სამი კაცი და ააცილა, ტაიმის ბოლოს კი მან, არჩილ არველაძემ და ჯამარაულმა აუბნიეს თავგზა „ლინფილდის“ დაცვას, თუმცა გოჩას დარტყმა კვლავ უზუსტო გამოდგა. მანამდე კი ნემსაძემაც მოიცალა შეტევისთვის — მისი უძლიერესი დარტყმა მეკარე ლემონმა მოიგერია.

შესვენებამდე სტუმრებმა მხოლოდ ორჯერ მოახერხეს „დინამოს“ საჯარიმოში შეღწევა — ეს ორი შეტევა ზოიძემ და შელიამ უვნებელჰყვეს, ყველა დანარჩენი მცდელობა კი საჯარიმომდე აღკვეთა ინალიშვილმა.

მეორე ტაიმი „დინამოს“ კიდევ უფრო გააფთრებული შეტევებით დაიწყო. ჯერ ინალიშვილმა ააცილა კუთხურის გათამაშების შემდეგ, მერე შოთა არველაძემ — რეზოს მოწოდებიდან, მალე კი ქინქლაძეს უმუხთლა

იხილეთ მეორე გვერდი



„დინამო“ — „ლინფილდის“ მატჩის წინ თბილისელთა თავდამსხმელს გიორგი ქინქლაძეს ორი ჯილდო გადაეცა: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დაწესებული თემურ გიორგაძის სახელობის სამართლიანობის პრიზი „ფეირ-პლეი“ და „სარბიელის“ პრიზი 1992-93 სეზონის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელისთვის. ფოტოზე გიორგი ქინქლაძე „სარბიელის“ გამოკითხვაში გამარჯვებისთვის მიღებული პრიზითაა აღბეჭდილი

**ჯონსონის უნიკალური მიღწევა**

4th IAAF WORLD CHAMPIONSHIPS in ATHLETICS STUTTGART 1993

200 და 400 მეტრზე

**მოლი და რაქი**

დავა წესების გამო

**უცხო ხილი**



გოლფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «დინამო» — «ლინფილდი» 19:2! 39:3! 2:1?!



არველაძეები უტევენ



არჩილ არველაძე ლინფილდელებს ბურთს ეცილება

**ჩემპიონთა თასი**

ნინასწარი ეტაპი. პირველი მატჩი

თბილისი, ეროვნული სტადიონი. 18 აგვისტო

**„დინამო" თბილისი — „ლინფილდი" ბელფასტი 2:1**

1. ზოიძე
4. შელია
2. ნემსაძე 3. ლობჟანიძე
5. ინალიშვილი
9. რ. არველაძე 8. ჯამარაული 10. ქინქლაძე 6. ყაველაშვილი
11. შ არველაძე 7. ა. არველაძე

9. ჯონსტონი
7. მაკქუში
10. პეილოკი 8. გორმენი
6. ფიბლზი 4. დოპერტი
3. ისტონი 5. მაკკონელი 11. ბეილი 2. დორნანი
1. ლემონი

შეცვლები: 53-ე წთ. პეილოკის ნაცვლად 14. ბითი
81-ე წთ. ყაველაშვილის ნაცვლად 14. ანჩაბაძე

1:0 შ. არველაძე (7)
1:1 ჯონსტონი (56)
2:1 ინალიშვილი (66)

გაფრთხილება: ჯონსტონი (63), ლემონი (73)

მსაჯები: თუროღლუ, სეიაქაბანი, ენდემირი (თურქეთი)

სუფთა დრო 61 წუთი; კუთხური 19:2 (12:0); ჯარიმა 3:9, თამაშგარე 2:0, კარში დარტყმა 39:3 (19:2)

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

ბედმა: მისი ერთი დარტყმა ლემონმა მოიგერია, მეორე — ძელმა. ამ პერიოდში კიდევ ერთი რამ გვენიშნა ავად: თბილისელთა ლიბერო შელია მეტოქის ნახევარს ისე „გაუშინაურდა", უმეტეს დროს იქვე ატარებდა. 56-ე წუთზე „დინამოს" კონტრშეტევისას მურთაზმა არჩილ არველაძესაც კი გადაასწრო ცენტრს იქეთ, ოღონდ არჩილმა ბურთი ცენტრშივე დაკარგა და ორი ქართველიღა აღუდგა სამი ჩრდილოირლანდიელის შეტევას. სამივემ დიდებულად ითამაშა: ახლადგამოსულმა ბითიმ ცრუ მანევრით ნემსაძე გაიტყუა ფლანგისკენ და ჯონსტონი ლობჟანიძეს შეატოვა; თუმცა ფიბლზმა ოსტატური პასით ნუგზარიც უსაქმოდ დატოვა — პირდაპირ ზოიძესთან „დააჭერინა საქმე" ჯონსტონს და ამანაც ზუსტად დაარტყა — მეორე ტაიმში ეს „ლინფილდის" ერთადერთი დარტყმა გამოდგა!

„დინამომ" კი გააგრძელა შეტევები, რომელსაც ამჯერად ინალიშვილმა უწინამძღოლა, მაგრამ თავისი საპირველტაიმო არსენალიდან მხოლოდ შორიდან დარტყმებიღა შემორჩა, მათაც ხან სიზუსტე აკლდათ, ხანაც — ძალა, თანაც 39 დარტყმას ისიც დაუმატეთ, „ლინფილდის" მცველები რომ გადაელობნენ, მარტო ბეილი — სამჯერ თუ ოთხჯერ! სტუმრებმა ის ერთადერთი „მსტოვარიც" უმეკავშირეოდ დატოვეს — მაკქუშს ცენტრიდან დაცვაში დააზევინეს და ახლა უკვე ათი კაცით ჩადგნენ საკუთარ საჯარიმოში. ჩვენებმა კი რატომღაც ფლანგები დაივიწყეს: თუ მარჯვენას ინალიშვილის წყალობით მაინც ედგა სული, მარცხნივ აშკარად დაილალა ყაველაშვილი.

ზემასირებული დაცვის გარღვევის ორი მთავარი პირობის — შორიდან დარტყმებისა და ფლანგებზე თამაშის გაბათილებას მესამეც დაერთო: თუ პირველ ტაიმში მეტოქის კარებთან ზურგით მდგომი ტყუპები ახერხებდნენ ბურთის მოთვინიერებას და ან იქვე მდგომ პარტნიორებს უგორებდნენ, ანაც რაღაც ჯამბაზობით თავად შეაღწევდნენ ხოლმე საჯარიმოში, ახლა აღარც ეს გაუვიდათ და ერთადერთი არგუმენტის — უბურთოდ მანევრირების იმედადღა დავრჩით, რაც „დინამომ" მხოლოდ ერთხელ სცადა: ინალიშვილმა ქინქლაძის პასი მიიღო, კარის გასწვრივ ჩააწოდა და ლემონს ერთადერთი შეცდომაც მოუვიდა: ბურთი თავადვე შეაგორა კარში.

საქართველოს ჩემპიონმა თავისი პირველი თამაში ჩემპიონთა თასზე მოიგო! თავისთავად უკვე მშვენიერი ფაქტია. სტუმრებმა ისეთი ამბით იზეიმეს მინიმალური სხვაობით წაგება, გეგონებოდათ, მეორე მატჩის წინ თავი უკვე ქუდში აქვთო და არც თბილისელთა მატჩისშემდგომ უხასიათობას უნდა ჰქონდეს დიდი საფუძველი: არცთუ ძლიერი ოლსტერული გუნდის ძლევა არც ბელფასტში უნდა იყოს უიმედო საქმე, მით უფრო, რომ სკეპტიკოსთა შიში, გამძლეობა დაგვალალატებსო, საბედნიეროდ, არ გამართლდა: „დინამომ" საკმაოდ სწრაფ თამაშს ბოლომდე გაუძლო და დაღლით მხოლოდ ერთი ფეხბურთელი დაილალა, ისიც — ბოლო წუთებში.

იმედია, „ლინფილდი" მეორე მატჩშიც მთლად დაცვას არ გადააკვდება და ჩვენებს მეტოქის ნახევარზე უფრო ლაღად ნავარდის საშუალებაც ექნებათ, ოღონდ ეგეცაა, ალბათ, არც თავდასხმაში იქნებიან ბელფასტელები „კინკილა" ფორვარდის ამარა და შელიასა და კომპანიას საქმე გაუათ[illegible]დებათ, მით უფრო, რომ პირველმა თამაშმა „დინამოს" ერთი პრობლემაც წარმოაჩინა:

მურთაზ შელია დიდებული სტოპერი რომაა, გუშინწინაც დადასტურდა: მან „საჰაერო ბრძოლა" 12:1 მოუგო მთელ „ლინფილდს", მაგრამ ლიბეროდ თამაშს სხვა ალღო და უბრალოდ, გამოცდილება სჭირია, რაც ჯონსტონის გოლმაც დაამტკიცა. თანაც, მურთაზი ფაქტიურად ორი კაცის საქმეს აკეთებდა — საჰაერო ბრძოლებისას თავის პოსტს ლობჟანიძეს ანდობდა ხოლმე და, ბუნებრივია, მოზღვავებულ საქმეს მთლად ისე ვერ აუდიოდა, მას რომ ეკადრება — მეორე ტაიმის ბოლოს, როდესაც „ლინფილდი" ისე „გაკადნიერდა", რომ ჩვენს ნახევარზე ბურთის „გაგორებაც" კი მოიწადინა, „დინამოს" დაცვა არცთუ საიმედოდ გამოიყურებოდა. ასე, რომ საბელფასტოდ და საერთოდ, სამომავლოდაც ერთი კარგი ლიბერო ნამდვილად საჭიროა — შელიას თავისი საქმეც თავზესაყრელად ექნება. საპასუხო მატჩში ამ ადგილზე, მოსალოდნელია, ჩიქოვანი ვიხილოთ, ისე კი, ხომ არ ვიჩქარეთ კუდინოვის „დამსახურებულ პენსიაზე" კვიპროსს გაშვება?

მაყურებლით დავიწყეთ და მაყურებლითვე დავამთავროთ: კარგი იქნებოდა, იმ სამოციოდე ათასი კაციდან, ვინც ჩვენში ჯერაც არნახულმა ბილეთის ფასებმა ვერ შეაკრთო, ხუთმა-ექვსმა ათასმა „დინამოს" „შინაურულ" მატჩებზეც შემოიაროს: ბევრად იაფი დაუჯდებათ, გულსაც გადააყოლებენ და ფეხბურთელებიც გადაეჩვევიან უმაყურებლო ფეხბურთს.

მამუკა ჩიხლაძე

გია ახალაძის
ფოტოები



| | ჯარიმა | | კარში დარტყმა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | + | – | სულ | საჯ. გარ. | საჯ. შიგნ. | აცდა | მე-კარე | ძელი | გოლი |
| 1 ზოიძე | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 2 ნემსაძე | — | — | 1 | 1 | — | — | 1 | — | — |
| 3 ლობჟანიძე | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 4 შელია | 2 | 1 | 3 | 3 | — | 1 | 2 | — | — |
| 5 ინალიშვილი | — | — | 6 | 4 | 2 | 2 | 3 | — | 1 |
| 6 ყაველაშვილი (კაპ) | 1 | — | 5 | 3 | 2 | 5 | — | — | — |
| 7 ა. არველაძე | — | — | 3 | 2 | 1 | 2 | 1 | — | — |
| 8 ჯამარაული | 3 | — | 3 | 2 | 1 | 1 | 2 | — | — |
| 9 რ. არველაძე | — | — | 3 | 2 | 1 | 2 | 1 | — | — |
| 10 ქინქლაძე | 2 | 1 | 8 | 7 | 1 | 3 | 4 | 1 | — |
| 11 შ.არველაძე | — | 1* | 7 | — | 7 | 4 | 2 | — | 1 |
| 14 ანჩაბაძე | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| სულ | 8 | 3 | 39 | 24 | 15 | 20 | 16 | 1 | 2 |

| | ჯარიმა | | კარში დარტყმა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | + | – | სულ | საჯ. გარ. | საჯ. შიგნ. | აცდა | მე-კარე | ძელი | გოლი |
| 1 ლემონი | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 2 დორნანი (კაპ) | — | — | 1 | 1 | — | — | 1 | — | — |
| 3 ისტონი | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 4 დოპერტი | — | 2 | — | — | — | — | — | — | — |
| 5 მაკკონელი | 1 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 6 ფიბლზი | 1 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 7 მაკქუში | — | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 8 გორმენი | 1 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 9 ჯონსტონი | — | 3* | 2 | 1 | 1 | 1 | — | — | 1 |
| 10 პეილოკი | — | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 11 ბეილი | — | 2 | — | — | — | — | — | — | — |
| 14 ბითი | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| სულ | 3 | 9 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | — | 1 |



# ანდერსონი და ნოდია — ცხელ გულზე



მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე „ლინფილდის" მთავარმა მწვრთნელმა ტრევორ ანდერსონმა შეხვედრას თავისი გუნდისთვის წარმატებული უწოდა. თქვენმა გუნდმა გვაჯობაო, აღიარა მან და თბილისელთაგან სწრაფი მეათე ნომერი (ქინქლაძე) გამოჰყო.

— „დინამოს" თავდამსხმელები თავგზას უბნევდნენ ჩვენს მცველებს. მეტად კმაყოფილი ვარ, გოლი რომ შევაგდეთ. საპასუხო მატჩს იმედით შევყურებთ.

— იყო თუ არა შეხვედრა ისეთი, როგორსაც ელოდით?

— მე ველოდი, რომ დინამოელები ბურთის ფლობაში იქნებოდნენ ძლიერნი, ასეც აღმოჩნდა. მეორე თამაში შესაძლოა პირველზე უფრო საინტერესოც გამოდგეს.

— თქვენი ფეხბურთელები თუ დარჩნენ კმაყოფილნი?

— რა თქმა უნდა, მათ ხომ ასეთ სიცხეში მინიმალური ანგარიშით წააგეს.

— პუბლიკაზე რას იტყვით?

— პუბლიკა სამართლიანი და თავაზიანი იყო ჩვენს მიმართ. დარწმუნებული ვარ, ბელფასტელებიც ასევე მოეპყრობიან თქვენს გუნდს. დღეს თქვენი გულშემატკივარი რომ ვნახე, მივხვდი, 1981 წელს რატომ მოიგო „დინამომ" თასი.

— თქვენი გუნდიდან ვინ იყო საუკეთესო?

— მეკარე.

— რამდენად ლოგიკური იყო თქვენს მიერ გატანილი გოლი?

— ჯონსტონმა ფიბლზისგან კარგი პასი მიიღო და კარგადაც ლი...ავირგვინა.

— საპასუხო მატჩში როგორი ტაქტიკით ითამაშებთ?

— ამაზე ჯერ კარგად უნდა ვიფიქრო.

— „ლინფილდის" მეკარემ ითამაშა ბრწყინვალედ და იღბალმაც ოდნავ ზურგი გვაქცია — თქვა „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა გივი ნოდიამ, როდესაც უპასუხა შეკითხვას, თუ რა მიზეზით არ დამთავრდა მატჩი თბილისელთათვის უფრო სასურველი ანგარიშით. ბატონი გივის თქმით, „დინამო" ტრადიციულად ბევრ მომენტს ქმნის, ცოტა კი გააქვს. ასე იყო ბელფასტელებთან თამაშის დროს, როდესაც დამამთავრებელ სტადიაზე მისი ბიჭები შებოჭილნი იყვნენ. კითხვაზე, ხომ არ იქნება ჩვენი გუნდისთვის შედარებით იოლი საპასუხო შეხვედრა, იმის გამო, რომ იქ კონტრშეტევა მოუწევს, მთავარმა მწვრთნელმა უპასუხა, განმეორებითი მატჩი რთული იქნებაო.

გივი ნოდიამ აღნიშნა, რომ თბილისელებმა ყველა კომპონენტით აჯობეს „ლინფილდს", მაგრამ ირლანდიელებმა დაამტკიცეს, რომ თამაში იციან, რაც იმით გამოიხატა, რომ ერთადერთი საგოლე შემთხვევა გამოიყენეს.

— ჩვენმა შუა ხაზმა უშეცდომოდ ითამაშა. როცა საჭირო იყო ცენტრიდან ვუტევდით, როცა საჭირო იყო ფრთიდან.

მსაჯებზე საუბრისას, მან ძირითადად კმაყოფილება გამოთქვა, თუმცა ზოგჯერ სტუმრებს მეტი სიმპატიით ეპყრობოდნენო. აქვე დასძინა, რომ შესაძლოა ეს მოეჩვენა კიდეც.

ბატონმა გივიმ იუარა ყაველაშვილის შედარებით სუსტი თამაში. იგი სხვების მსგავსად შესანიშნავ ფორმაშიაო.

— ბოლო მატჩებში ახალი ტაქტიკით, გარე მცველების გარეშე ვთამაშობთ. ახალი სქემის თანახმად, ამ ფუნქციებს ყაველაშვილი და რეზო არველაძე ინაწილებენ და საკმაოდ კარგადაც — თქვა მან.

— ჩვენ ნამდვილად გვყავს მაღალი კლასის ფეხბურთელები და არ გავაწბილებთ — თქვა დასასრულ გივი ნოდიამ.

ილია ბაბუნაშვილი



„დინამოს" პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია მატჩის შემდეგ ძნელი საცნობი იყო. თამაშს მან ლოჟიდან უყურა სტუმრებთან ერთად და ემოციების გამოხატვის საშუალება არა ჰქონია. პირველი ტაიმის შემდეგ დინამოელთა თამაშით აღფრთოვანებულ ძველ გულშემატკივარსა და ფეხბურთის დიდ მცოდნეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მერაბისთვის უთქვამს: „გაუძლებენ კი ჩვენი ბიჭები ამ ტემპსო". ბიჭებმა კი ლამაზი ორმოცდახუთი წუთი შესთავაზეს ფეხბურთის მოყვარულებს. თამაშის შემდეგ ოდნავ გონსმოსულ მერაბ ჟორდანიას გამოველაპარაკე.

**— მერაბ, თქვენი „დინამოში" პრეზიდენტად მოსვლის დღიდან ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევდით დღევანდელი დღისკენ. რა იგრძენით ამ საღამოს, როცა ბოლოს-დაბოლოს ასრულდა თქვენი და ქართველი გულშემატკივარის ოცნება?**

## მერაბ ჟორდანია: „მილანისაც" აღარ მეშინია



— ვიგრძენი, რომ მთავარ მიზანს მივაღწიე. ეროვნული ჩემპიონატის ყოველი მატჩის შემდეგ შევდივარ გასახდელში ბიჭებთან და ვულოცავ მათ მოგებას, თუმცა არ მავიწყდება ვუთხრა, რომ ისინი ჯერ კიდევ ბავშვურ, ბიჭურ ფეხბურთს თამაშობენ. „ლინფილდთან" მატჩის შემდეგ კი შევედი და ვუთხარი: „ბიჭებო, თქვენ კაცები ხართ და კაცურ ფეხბურთს თამაშობთ-მეთქი". მე ვიცი, რომ ისინი მთელი ამ ხნის მანძილზე ამას ელოდნენ და ეს სიტყვები მე მათ მთელი პასუხიმგებლობით ვუთხარი. ამ თამაშისა და ჩემი ბიჭების შემხედვარეს აწი უკვე „მილანისაც" აღარ მეშინია.

**— მეტოქეზე რა აზრის ხართ?**

— მე ჩემს მეგობრებს განვუცხადე და თქვენც გეტყვით: „ლინფილდი" ისეთივე უპირატესობით მოიგებდა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს, როგორც „დინამო" იგებს.

**— მაინც რით ახსნით, რომ ამხელა უპირატესობის მიუხედავად მხოლოდ მინიმალური ანგარიშით მოიგეთ?**

— მე ამას ფეხბურთელის თვალით დანახული პოზიციიდან გეტყვით: არასოდეს მინახავს, ასეთი უპირატესობის მიუხედავად გუნდს მხოლოდ ორი გოლი გაეტანოს. მეკარესაც, რომ იტყვიან, „წაუვიდა" თამაში.

**— მატჩის წინა პერიოდში დაკავებული იყავით თამაშზე და მის გარშემო ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტით. რა შეიძლება ითქვას მატჩის შემდეგ ამ საკითხზე?**

— თამაშის შემდეგ მატჩის კომისარს ბელგიელ ფერტონგენს ვკითხე, რაიმე ხარვეზი ხომ არ ჩაგინიშნავთ-მეთქი. ხელები გაშალა და ყველაფერი კარგადააო — მითხრა. სიტყვამ მოიტანა და მინდა [illegible] გადავუხადო კოტე გაბაშვილს და ავთო იოსელიანს, რომელთაც ყველაფერი იღონეს და მაქსიმალურად უსაფრთხო სიტუაცია შექმნეს სტადიონზეც და მის გარეთაც.

**— მერაბ, მიუხედავად დღევანდელი გაჭირვებისა, ომისა და მაღალი ფასებისა ბილეთებზე, სამოცი ათასი მაყურებელი მოვიდა და ვაჟკაცურად მხარში დაუდგა გუნდს...**

— მე აღფრთოვანებული ვარ გულშემატკივართა მოქმედებით. შეუძლებელია აუღელვებლად გადმოსცე მათი თანადგომა დღეს, ამ გაჭირვების ჟამს. დინამოელთა თამაში, მთავარი მწვრთნელის სწორი გზა და მაყურებელთა თავდადება [illegible] ვიფიქროთ, რომ ეს ბარიერი დაძლეული იქნება და „დინამო" გავა შემდეგ ეტაპზე.

მამუკა კვარაცხელია

## ყიზილაშვილი — „არაუ" 2:1

„დინამოს" ფეხბურთელების გარდა გუშინწინ კიდევ ერთი ქართველი ჩაება ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. კვიპროსის ჩემპიონი „ომონია", რომლის რიგებშიც ყოფილი „დინამოელ-ოდიშელ-შევარდნელი" დათო ყიზილაშვილი გამოდის, შვეიცარიის „არაუს" მასპინძლობდა. როგორც ოთხშაბათს ღამის გამოშვებაში BBC-ის საფეხბურთო მიმომხილველმა აღნიშნა, ბრწყინვალედ ითამაშა ყიზილაშვილმა და ორი გოლი გაუტანა შვეიცარიის ჩემპიონს. დათოს გუნდმა მოიგო ეს თამაში 2:1. მატჩის შემდეგ აღფრთოვანებული გულშემატკივრები დიდხანს არ იშლებოდნენ და ქართველი ფეხბურთელის გამოჩენას ელოდნენ. შეხვედრას ამ წყვილში გამარჯვებულის მომავალი მეტოქის, „მილანის" მწვრთნელიც დაესწრო.




## ჩემპიონთა თასი

ოთხშაბათი, 18 აგვისტო

ჰ.ი.კ. ფინეთი — „ნორმა" ესტონეთი 1:1
„ეკრანასი" ლიტვა — „ფლორიანა" მალტა 0:1
„ტოფტირი" ფარერები — „კროაცია" ხორვატია 0:5
**ცვიტანოვიჩი (15), ლესიაკი (31), ვლაოვიჩი (44), ტურკოვიჩი (74), აჯიჩი (88)**
„ქვიმბრან თაუნი" უელსი — „კორკ სიტი" ირლანდია 3:2
**კინგი (4 პ), ფორტი (25, 27); კოლფილდი (62), ბაკლი (75)**
„სკონტო" ლატვია — „ოლიმპია" სლოვენია 0:1
„ავენირი" ლუქსემბურგი — „როზენბორგი" ნორვეგია 0:2
**ბრაგსტადი (9), ლეკენი (54)**
„ომონია" კვიპროსი — „არაუ" შვეიცარია 2:1
**ყიზილაშვილი (15, 61); რატინიონი (62)**
„ზიმბრული" მოლდოვა — „ბეითარი" ისრაელი 1:1
„პარტიზანი" ალბანეთი — „აკრანესი" ისლანდია გუშინ გაიმართა

## თასების თასი

კვირა, 15 აგვისტო
„ბალცერსი" ლიხტენშტაინი — „ალბპეტროლი" ალბანეთი 3:1

სამშაბათი, 17 აგვისტო
რ.ა.ფ. ლატვია — ჰბ 36 ფარერები 1:0
„დუდელანჟი" ლუქსემბურგი — „მაკაბი" ხაიფა, ისრაელი 0:1
**მიზრახი (39)**

ოთხშაბათი, 18 აგვისტო
„კარპატი" უკრაინა — „შელბურნი" ირლანდია 1:0
„სლიმა უონდერერსი" მალტა — „დეგერფორსი" შვედეთი 1:3
**გრეგორი (67); ოქტოსონი (6, 30), ფრობერგი (52)**
„ბანგორ სიტი" ჩრდ. ირლანდია — „აპოელი" კვიპროსი 1:1
**მაკივოი (24); სოტირიუ (45)**
„ვალიური" ისლანდია — „მიუპა 47" ფინეთი 3:1
„ნიკოლი" ესტონეთი — „ლილესტრიომი" ნორვეგია 0:4
„კოშიცე" სლოვაკეთი — „ჟალგირისი" ლიტვა 2:0
„ლუგანო" შვეიცარია — „ნემანი" ბელორუსი 5:0
**ანდრეოლი (37, 83), სუბიატი (59), ფინკი (68), პენზავალი (87)**
„პუბლიკუმი" სლოვენია — „ოდენსე" დანია 0:1

**საინფორმაციო სააგენტოთა ცნობით, ყველაზე ნაკლები მაყურებელი „ტოფტირ"-„კროაციას" მატჩს დაესწრო სულ 1200 კაცი, ყველაზე მეტი (60 000) კი თბილისის მატჩზე მოვიდა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## III ტური

აღმოსავლეთი

**შევარდენი 1906 3**
**საპოვნელა 0**

თბილისი, სტადიონი „შევარდენი"
17 აგვისტო

შევარდენი 1906: ნაჭყებია, კვიტატიანი, შურღაია, მელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე, ბაკურაძე, ქოჩლაძე, გოგიჩაიშვილი, ფანცულაია, ჯანაშია (ხურცილავა, 81).
საპოვნელა: თევზაძე, ხვარეშია (გურაბანიძე, 22), გენაძე, ჭულუხაძე, ძიძიშვილი, უკლება, ბრეგვაძე, ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ტუხაშვილი (ჩინჩალაძე, 56).

1:0 გოგიჩაიშვილი (18)
2:0 ჯანაშია (77)
3:0 გოგიჩაიშვილი (88 პ)

გაფრთხილება: ძიძიშვილი, ჯანაშია, ქოჩლაძე
მსაჯი: ჯ. წერეთელი (რუსთავი)

**ერქვანი 5**
**მალ.აროელი 0**

გურჯაანი დავით ყიფიანის სტადიონი
17 აგვისტო

ერქვანი: ნარეკლიშვილი, შალამბერიძე, გაგნიძე, დოლიძე (გეგეშიძე, 72), ლაცაბიძე, ფოფხაძე, ინიაშვილი, თაბუკაშვილი, ჭოლოკავა (ყიზილაშვილი, 74), კიკნაძე, მეტრეველი.
მალაროელი: გველესიანი, იობაშვილი, ლურსმანაშვილი, რუხაძე, თამაზაშვილი, აბრამიშვილი (ბრეგვაძე, 60), დადუნაშვილი, ბუიშვილი, კავთელაძე, წიკლაური, მწყერაშვილი (ბურძენიძე, 35).

1:0 ინიაშვილი (27)
2:0 კიკნაძე (35)
3:0 მეტრეველი (43)
4:0 მეტრეველი (70)
5:0 კიკნაძე (85)

წიკლაურმა ვერ გაიტანა პენალტი (9)
მსაჯი: ს. კახიანი (სამტრედია)

**მეტალურგი 1**
**ივერია 3**

რუსთავი, სტადიონი „მეტალურგი"
17 აგვისტო

მეტალურგი: ქორიძე, ამბიძე (მელაძე, 58), ნოდია, ბურნაძე, დუშუაშვილი, ვ. კილასონია, არსოშვილი, გ. კილასონია, მაჭავარიანი, მეტრეველი, ჩოჩიევი.
ივერია: გვენცაძე, ჯიკაევი, მჭედლიშვილი, სამხარაძე, რობაქიძე, ხარაზიშვილი, მაქაცარია, ტარიელაშვილი (ტყემალაძე, 80), მარლიშვილი, ქობელაშვილი, ბაკურაძე (ლაცაბიძე, 88).

0:1 ქობელაშვილი (28)
0:2 მარლიშვილი (35)
1:2 ვ. კილასონია (43)
1:3 ბაკურაძე (75)

გაფრთხილება: რობაქიძე
მსაჯი: [illegible] (მცხეთა)

**კახეთი 2**
**დილა 1**

თელავი, გივი ჩოხელის სტადიონი
17 აგვისტო

კახეთი: [illegible] ... სანადირაძე, [illegible] ქარითიძე, სეფაშვილი, [illegible] ალავიძე, კვარაცხელია, [illegible]
დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, თარხნიშვილი, მეტრეველი, მარეხაშვილი, მიქელაძე, ტაბატაძე, ციცქიშვილი, მინდიაშვილი (რევაზიშვილი, 85).

1:0 ჭერიტიძე (60)
2:0 კვარაცხელია (75)
2:1 მინდიაშვილი (80)

გაფრთხილება: კაციტაძე, მინდიაშვილი
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

**მარგვეთი**
**მრეტები**

მატჩი გადაიდო, ვინაიდან „მრეტების" ხუთი მოთამაშე ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ესპანეთს გაემგზავრა

დასავლეთი

**კოლხეთი 1913 2**
**სამგურალი 0**

ფოთი, სტადიონი „ფაზისი"
17 აგვისტო

კოლხეთი 1913: გვასალია, თიბილაშვილი, კაკაჩია, მაჭავარიანი, ქუნთელია, მიქაბერიძე, გოროზია, მახარაძე, ჯულელი, დარასელია, ტორჩინავა (ლალანიძე, 79)
სამგურალი: კიკალეიშვილი, ქობულაძე, რ. იობიძე, ჯანელიძე, ვ. ფესტვენიძე, მალლაკელიძე, ცნობილაძე, ჭ. იობიძე (გუბელაძე, 75), ხურცილავა, ჯანელიძე (ჯანაშია, 75), ხარაბაძე.

1:0 ჯულელი (70)
2:0 მახარაძე (77)

გაფრთხილება: რ. იობიძე
მსაჯი: მ. მალალურაძე (თბილისი)

**სამტრედია 3**
**შუქურა 2**

სამტრედია, ეროსი მანჯგალაძის სტადიონი
17 აგვისტო

სამტრედია: მიქაძე, იონანიძე, სიდამონიძე, ბზიკაძე, ვაშაკიძე, წულაია, ამაშუკელი, ჭყონია (ჩომახიძე, 82), ჯანაშია, ფანჩულიძე, გოგელიძე (ტონია, 75).
შუქურა: ბერაძე, კოროტკოვი (გეიანიძე, 46), ჭელიძე, კედელაძე, ხურციძე, ბერიძე, წიკლაური, ლონლაძე, გვასალია, ამბიძე, ლლონტი.

1:0 ბზიკაძე (22)
1:1 ამბიძე (37)
2:1 წულაია (42)
3:1 ამბიძე (85 პ)
3:2 ჯანაშია (? პ)

გაფრთხილება: წიკლაური, იონანიძე
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**ბათუმი 3**
**ამირანი 1**

ბათუმი, სტადიონი „დინამო"
17 აგვისტო

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, გეთია, მუჯირი, შეყილაძე, თორლაშვილი, მახარაძე, მაჭუტაძე, ხომერიკი, ტულუში (შანიძე, 46), ყულეჯიშვილი.
ამირანი: ფიფია, ძალამიძე, ვ. კაკუბავა, ვ. გუჩუა, რ. გუჩუა, ჯოჯუა, ჯინორია, ნ. კაკუბავა, თოლორდავა (ახვლედიანი, 41), გაბისონია, აფენდოპულო (როსტობაია, 85).

0:1 გაბისონია (2 პ)
1:1 ხომერიკი (13)
2:1 ყულეჯიშვილი (30)
3:1 მაჭუტაძე (36)

გაფრთხილება: გოგიტიძე, ახვლედიანი
მსაჯი: ლ. მგელაძე (თბილისი)

**გურია 5**
**მზიური 0**

ლანჩხუთი, ცენტრალური სტადიონი
17 აგვისტო

გურია: აბუსერიძე, პაპავა, თევზაძე (მეჩეხია, 78), დანელია, ბუცურეიშვილი, გოგოლაძე, დოლბაია (მალანია, 65), რეხვიაშვილი, კორლალიძე, ფრიდონაშვილი, გამცემლიძე.
მზიური: ფიფია, ეთერია, ზ. კვეკვესკირი, დ. ლურწკაია, თ. ლურწკაია, ყოლბაია, ქ. კვეკვესკირი (ტაბალუა, 59), თორია (ხორგიანი, 71), ქორთუა, ჩხეტია, ქანთარია.

1:0 გამცემლიძე (12)
2:0 გოგოლაძე (36)
3:0 ფრიდონაშვილი (65)
4:0 კორლალიძე (81)
5:0 კორლალიძე (85)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

**ოდიში 3**
**ცხუმი 3**

აბაშა, ცენტრალური სტადიონი.
17 აგვისტო

ოდიში: ჭანტურია, ჯოლოხავა, მესხი, თუთბერიძე (აბრალავა, 46), გაფრინდაშვილი, გაბედავა, კვარაცხელია, კუტალია, დარასელია, ქაძანაია, აფაქიძე.
ცხუმი: ქვაჩახია, მიქაძე, ზ. ჯელაძე, სიჭინავა, ჯიჯელავა, მინდაძე, ლურწკაია, ანჯაფარიძე, გადელია, გოგიაშვილი, გ. ჯელაძე (რუსია, 70).

0:1 გოგიაშვილი (6)
1:1 გაბედავა (26)
2:1 თუთბერიძე (37)
2:2 გოგიაშვილი (55)
3:2 დარასელია (70)
3:3 გოგიაშვილი (78)

გაფრთხილება: თუთბერიძე
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 11-1 | 6 |
| შევარდენი 1906 | 3 | 2 | 0 | 1 | 7-7 | 6 |
| მალაროელი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-5 | 6 |
| ერქვანი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| ივერია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| საპოვნელა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| კახეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| მრეტები | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| მეტალურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| დილა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| მარგვეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 3 | 3 | 0 | 0 | 16-2 | 9 |
| კოლხეთი 1913 | 3 | 3 | 0 | 0 | 10-4 | 9 |
| ბათუმი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| სამტრედია | 3 | 2 | 1 | 0 | 10-4 | 7 |
| ტორპედო | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| ოდიში | 2 | 0 | 1 | 1 | 4-7 | 1 |
| შუქურა | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |
| ამირანი | 3 | 0 | 1 | 2 | 6-10 | 1 |
| ცხუმი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-13 | 1 |
| სამგურალი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| მზიური | 3 | 0 | 0 | 3 | 1-12 | 0 |

საქართველოს ჩემპიონატი

# ფეხბურთი ზუგდიდსაც ეღირსა!

თოთხმეტი თვეა ზუგდიდელებს არ უნახავთ ფეხბურთი. ამ ხნის განმავლობაში სად აღარ მოუწია „ოდიშს" მატჩების გამართვა: სამტრედიაში, ფოთში, ქუთაისში და მიუხედავად იმისა, რომ იმარჯვებდა კიდეც, ამ ქალაქებში ჩასულ ურავალრიცხოვან ოდიშელ გულშემატკივარს მაინც არასრულფასოვანი გამარჯვების შეგრძნება ჰქონდა, რადგან ეს გამარჯვება მშობლიური სტადიონის კედლებში არ იყო მოპოვებული. ზუგდიდლებმა შარშანაც არაერთგზის მიმართეს ფეხბურთის ფედერაციას, დაერთო ნება თამაშები ზუგდიდში ჩაეტარებინა, მაგრამ ამაოდ და. აი, ფეხბურთის ფედერაციამ მწვანე შუქი აუნთო „ოდიშს": 27 აგვისტოს დიდი ზეიმი იქნება ზუგდიდში, ამ დღეს „ოდიში" ოჩამჩირის „ამირანს" უმასპინძლებს. ფედერაციის მხრიდან ამ თავაზიანი ჟესტის გამოხატვაში, ალბათ, იმანაც იქონია გავლენა, რომ ზუგდიდის ფეხბურთის მესვეურებმა უსაფრთხოების წერილობითი გარანტია ჩამოიტანეს თბილისში, რომელსაც ხელს აწერენ: ზუგდიდის გამგებელი და ს.კ. „ოდიშის" პრეზიდენტი ოთარ ფაცაცია; სამეგრელოს რეგიონის შეიარაღებული ძალების ფაქტიური სარდალი ვახტანგ (ლოთი) ქობალია; ზუგდიდის პროკურორი, „ოდიშის" ვიცე-პრეზიდენტი კიაზო ჭანტურია და ზუგდიდის პოლიციის შეფი, პოლკოვნიკი თორნიკე ქირია. „ოდიშის" მენეჯერი, საფეხბურთო საქართველოში „სიმონიჩად" ცნობილი ჯემალ გოგია სიხარულს ვერ ფარავდა ზემოხსენებული ფაქტის გამო.

**— ბატონო ჯემალ, გილოცავთ ზუგდიდში თამაშების ჩატარების ნებართვას.**

— გმადლობთ, ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულს განიცდის ზუგდიდელი გულშემატკივარი ამ ცნობის მიღების შემდეგ.

**— ორიოდე სიტყვით წლევანდელი „ოდიშის" შესახებ.**

— „ოდიშმა" მეოთხე ჩემპიონატის შემდეგ დიდი დანაკლისი განიცადა: გუნდიდან წავიდნენ ჯანაშია და კვიტატიანი (გადავიდნენ „შევარდენი 1906"), ოჩიგავა, დანელია, რუსია (დაუბრუნდნენ „ცხუმს"), გაბისონია (დაუბრუნდა „ამირანს"), ბულია და ჭიჭინაძე (სენაკის „ეგრისი"), ჯავაშვილი, გოგოხია, სართანია (დაანებეს თავი ფეხბურთს). მივიღეთ შევსება წალენჯიხიდან — ჯოლოხავა და აბრალავა, ხობიდან — მეკარე მიქავა, დარჩელის „ჩელადან" კახაბერ მესხი, ზუგდიდის სპორტსკოლიდან — წიტაიშვილი და აბსანძე.

**— გუნდის ხელმძღვანელობაში ხომ არ მომხდარა ცვლილება?**

— არა, „ოდიშს" კვლავინდებურად ბადრი თუთბერიძე უდგას სათავეში.

**— წინასასეზონო მომზადება სად გაიარა გუნდმა?**

— შეკრება ქობულეთში გავიარეთ. ექვსი საკონტროლო შეხვედრიდან ოთხი დავთმეთ და მხოლოდ „მზიურთან" და „შუქურასთან" ვითამაშეთ ფრედ. ძალიან გვიჭირს თავდასხმაში, ეს ნათლად გამოჩნდა ჩემპიონატის პირველ სამ მატჩშიც.

**— ზუგდიდი თითქოსდა მოწყვეტილია საქართველოს. იქაურ ამბებსაც გადმოცემით ვგებულობთ. სპორტული პრესა თუ აღწევს თქვენთან?**

— სპორტულ პრესას ვინმე თუ ჩამოიტანს, თორემ პრაქტიკულად იზოლირებულნი ვართ გარე საფეხბურთო სამყაროს. თბილისში ყოფნისას ვნახე თქვენი გაზეთი „სარბიელი" და ძალიან მომეწონა. ასეთი ოპერატიული გაზეთი დიდ დახმარებას გაგვიწევს ჩვენ, გუნდის ხელმძღვანელებს.

**— ფინანსური საკითხი როგორ აქვს „ოდიშს"?**

— კლუბის მეპატრონე გახდა სამეფო ბანკის ზუგდიდის ფილიალის უფროსი დათო დავითულიანი და პრაქტიკულად ფინანსური საკითხიც მოგვარდა.

**— კარგი სტარტით ვერ დაიკვეხნით, მაგრამ იმედია ოდიშელებს ხუთეულზეც გექნებათ პრეტენზია.**

— რატომაც არა. შინაურ კედლებში მეტი თავდადებით ვითამაშებთ.

მამუკა კვანტალიანი

## სტატისტიკა. I ტური

| | ალმ. | დას. | სულ | სეზონში |
|---|---|---|---|---|
| მატჩი | 4 | 5 | 9 | 29 |
| გოლი | 15 | 22 | 37 | 109 |
| საშუალო შედეგიანობა | 3,75 | 4,4 | 4,11 | 3,76 |
| მასპინძლები — სტუმრები: | | | | |
| ქულები | 9-3 | 13-1 | 22-4 | 59-23 |
| პროცენტულად | 75-25 | 93-7 | 85-15 | 72-28 |
| გოლები | 11-4 | 16-6 | 27-10 | 74-35 |
| პროცენტულად | 73-27 | 73-27 | 73-27 | 68-32 |
| გაძევება | — | — | — | 1-4 |
| გაფრთხილება | 3-3 | 3-3 | 6-6 | 21-20 |
| პენალტი* | 1-1 | 1-2 | 2-3 | 7-6 |
| გამოყენებულია | 1-0 | 1-2 | 2-2 | 7-4 |
| დიდი ანგარიში | 2 | 1 | 3 | 11 |
| „ჰეტ-ტრიკი" | — | 1 | 1 | 3 |
| ფეხბურთელთა რაოდენობა | 100 | 125 | 225 | 310 |
| დებიუტანტები | 1 | 4 | 5 | 61 |

მეასე მატჩი ითამაშეს პირველ ჯგუფში გელა შეყილაძემ (ბათუმი) და მერაბ თევზაძემ (გურია).

მეორე გაფრთხილება მიიღეს რობაქიძემ (ივერია) და მინდიაშვილმა (დილა)

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| კორლალიძე | გურია | 6 |
| ჯანაშია | სამტრედია | 4 |
| გოგოლაძე | გურია | 4 |
| გოგიჩაიშვილი | შევარდენი | 4 |
| ა. არველაძე | დინამო | 3 |
| გამცემლიძე | გურია | 3 |
| ფრიდონაშვილი | გურია | 3 |
| იონანიძე | სამტრედია | 3 |
| მაჭუტაძე | ბათუმი | 3 |
| ხომერიკი | ბათუმი | 3 |
| ამბიძე | შუქურა | 3 |
| გოგიაშვილი | ცხუმი | 3 |
| გაბისონია | ამირანი | 3 |

# მსაჯიც დაჯარიმდა

როგორც ჩემპიონატის დაწყებამდე ჩვენი გაზეთისთვის გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში მსაჯთა ასოციაციის გენერალურმა მდივანმა რეზო მგელაძემ თქვა, არასაპატიო მიზეზით მატჩის გაცდენის შემთხვევაში მსაჯები დაჯარიმებული იქნებოდნენ და აი, პირველი ჯარიმაც: 8 აგვისტოს ჰიათურის „მაღაროელისა" და თელავის „კახეთის" მატჩის გვერდით მსაჯად დანიშნული დისმან გვაზავა გამოუცხადებლობის გამო 50 ათასი კუპონით დაჯარიმდა და თან მსაჯთა ასოციაციის სასტიკი საყვედურიც დაიმსახურა.

კომერციული ბანკი
Commercial Bank
MB
მინაგობანკი MINAGOBANK
სასტუმრო „აჭარა"
ოფისი № 305
ტელეფონი: 369 096, 369 407
„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი"

# ინგლისი

ამ ქვეყნის ჩემპიონატის კალენდარი, სხვა ნორმალური ქვეყნებისგან განსხვავებით, არასტაბილურობით გამოირჩევა. გასულ შაბათ-კვირას ჩატარდა პირველი ტური (იხ. წინა „სარბიელი"), უკვე ორშაბათს კი „არსენალმა" და „ტოტენჰემმა" მეორე ტურის მატჩი გამართეს. მატჩის გმირი არსენალელი იან რაიტი გამოდგა: მე-3 წუთზევე იგი გააფრთხილეს ცხრამეტრიანი დისტანციის დარღვევისთვის, პირველი ტაიმის ბოლო წუთზე მის მიერ ჩაწოდებულ ბურთს ...ამსმა თავი დაარტყა და გოლი ...იტანა, მაგრამ აქ მსაჯი ჩაერია და თქვა — ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთიაო. რაიტმა თავისი მაინც გაიტანა: შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ლინიგენის ჩამოწოდებული კუთხურის შემდეგ მან შანსი არ დაუტოვა ნორვეგიელ მეკარე ტორსტვედტს. ეს მისი 130-ე გოლია ინგლისის ჩემპიონატებში. 17 აგვისტოს კიდევ 4 მატჩი შედგა, აქედან სამში მასპინძლებმა სტუმრებს 1:0 მოუგეს: „ევერტონმა" „მანჩესტერ სიტის" (პოლ რიდეოტი), „იფსვიჩმა" — „საუთჰემპტონს" (იან მარშალი) და „ლიდს იუნაიტედმა" — „ვესტ ჰემს" (გარი სპიდი). ასეთივე ანგარიშით, ოღონდ სტუმრების სასარგებლოდ, მთავრდებოდა მატჩში ლონდონში, სადაც „უიმბლდონი" „ჩელსისთან" თამაშობდა, მაგრამ 81-ე წუთზე ჯონ ფაშანუმ იხსნა მასპინძლები. გუშინწინ 6 მატჩით დამთავრდა მეორე ტური. ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" შინ მოუგო „შეფილდ იუნაიტედს" 3:0 (ორი გოლი როი კინმა გაიტანა), ხოლო „ლივერპულმა" გასვლაზე „ქუინზ პარკ რეინჯერსს" 3:1. დანარჩენი მატჩები: „ბლეკბერნი" — „ნორვიჩი" 2:3, „კოვენტრი" — „ნიუკასლი" 2:1, „შეფილდ უენსდეი" — „ასტონ ვილა" 0:0, „სვინდონი" — „ოლდჰემი" 0:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩეს. იუნ (1) | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| ლივერპული (6) | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| კოვენტრი (15) | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| იფსვიჩი (16) | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| ევერტონი (13) | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| ასტონ ვილა (2) | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| უიმბლდონი (12) | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| ლიდსი (17) | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| ბლეკბერნი (4) | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| ტოტენჰემი (8) | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| შეფ. იუნ (14) | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| ნორვიჩი (3) | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| ოლდჰემი (19) | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| არსენალი (10) | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| ჩელსი (11) | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| მანჩ. სიტი (9) | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| შეფ. უენ (7) | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| ნიუკასლი (დ) | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| სვინდონი (დ) | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| ვესტ ჰემი (დ) | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| საუთჰემპტ. (18) | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| ქუინზ პარკი (5) | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |

ფრჩხილებში მოყვანილია გუნდის მიერ წინა ჩემპიონატში დაკავებული ადგილი.
დ — დებიუტანტი



## იან რაიტი

...დაბადა 1962 წლის 3 ნოემბერს
I დივიზიონში დებიუტი: „ქუინზ პარკ რეინჯერსი" — „კრისტალ პალასი" 2:0 (19.08.1989)
ნაკრებში დებიუტი: ინგლისი — კამერუნი 2:0 (6.02.1991)
პირველი გოლი ნაკრებში: პოლონეთი — ინგლისი 1:1 (29.05.1993)
სულ ნაკრებში: 13 მატჩი, 1 გოლი
სულ ინგლისის ჩემპიონატში: 287 მატჩი, 130 გოლი.

1985-86 „კრისტალ პალასი" (II დივ.) 32 მატჩი, 9 გოლი
1986-87 „კრისტალ პალასი" (II) 38, 9
1987-88 „კრისტალ პალასი" (II) 41, 20
1988-89 „კრისტალ პალასი" (II) 42, 24
1989-90 „კრისტალ პალასი" (I) 26, 8
1990-91 „კრისტალ პალასი" (I) 38, 15
1991-92 „კრისტალ პალასი" (I) 8, 5
„არსენალი" (I) 30, 24
1992-93 „არსენალი" (I) 30, 15
1993-94 „არსენალი" (I) 2, 1

# გერმანია

სამშაბათს გაიმართა მესამე ტურის ერთი მატჩი: „ვერდერმა" შინ „ლაიპციგს" მოუგო — 3:1. ჩემპიონთაგან გოლები გაიტანეს ბერნდ ჰობშმა, დიტმარ ბაიერსდორფერმა და მარიო ბასლერმა. ტურის დანარჩენი მატჩები დღეს, ხვალ და ზეგ გაიმართება. ერთმანეთს შეხვდებიან: „კიოლნი" — „კარლსრუე", „ვატენშაიდი" — „ლევერკუზენი", „ჰამბურგი" — „შალკე 04", „დუისბურგი" — „შტუტგარტი", „მიონხენგლადბახი" — „ნიურნბერგი", „დორტმუნდი" — „ფრაიბურგი", „აინტრახტი" — „კაიზერსლაუტერნი", „ბაიერნი" — „დინამო"

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი (1) | 3 | 2 | 1 | 0 | 10-4 | 5 |
| კაიზერსლ. (8) | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 4 |
| აინტრახტი (3) | 2 | 1 | 1 | 0 | 6-2 | 3 |
| ლევერკუზ. (5) | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 3 |
| დუისბურგი (დ) | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 3 |
| ფრაიბურგი (დ) | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 2 |
| ჰამბურგი (11) | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 2 |
| ბაიერნი (2) | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 2 |
| კარლსრუე (6) | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 2 |
| ვატენშაიდი (14) | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 2 |
| დორტმუნდი (4) | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 2 |
| ნიურნბერგი (13) | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 2 |
| შალკე (10) | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 2 |
| დინამო (15) | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| ლაიპციგი (დ) | 2 | 0 | 1 | 1 | 4-6 | 1 |
| კიოლნი (12) | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| შტუტგარტი (7) | 1 | 0 | 0 | 1 | 1-5 | 0 |
| მიონხენგლ. (9) | 2 | 0 | 0 | 2 | 2-8 | 0 |

# შოტლანდია

საჩემპიონო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი (1) | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 4 |
| მოზერუელი (9) | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 3 |
| დანდი იუნ. (4) | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 3 |
| აბერდინი (2) | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 3 |
| სელტიკი (3) | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| ჰარტსი (5) | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 2 |
| ჰიბერნიანი (7) | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| კილმარნოკი (დ) | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 2 |
| ს. ჯონსტონი (6) | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| რ. როვერსი (დ) | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| პარტიკი (8) | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| დანდი (10) | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

მესამე ტური ხვალ გაიმართება

# ფეხბურთის რუკასთან



საფრანგეთის ნაკრებს ზეგ მნიშვნელოვანი მატჩი აქვს სტოკჰოლმში შვედეთის ნაკრებთან. ბოლო მომენტში ფრანგებს ორი მცველი გამოაკლდათ: ბაზილ ბოლი („მარსელი"), რომელმაც ბარძაყი იტკინა და მანუელ პეტი („მონაკო"), რომელსაც ღამის კლუბში ჩხუბი მოუვიდა და ცხვირი გაუტეხეს. მათ შეცვლიან ფრანკ სილვესტრი „ოსერიდან" და მარსელ დესაიი („მარსელი"). სტოკჰოლმში ნაკრები ასეთი შემადგენლობით მიემგზავრება: მეკარეები ლამა (პსჟ) და მარტინი („ოსერი"), მინდვრის მოთამაშეები — ბლანი („სენტ ეტიენი"), როში, ლე გუენი, ჟინოლა (პსჟ), დესაი, დეშამი („მარსელი"), სილვესტრი, მარტინსი, ვაირუა („ოსერი"), დოგონი, ლიზარაზუ („ბორდო"), ფერი, პედრო („ნანტი"), სოზე („ატალანტა"), პაპენი („მილანი"), კანტონა („მანჩესტერ იუნაიტედი").

ჰოლანდიის ეკონომიკის სამინისტრო იკვლევს, თუ რამდენად მართებულია, რომ „ვოლენდამში" ჩაირიცხა ორი სერბი ფეხბურთელი — ივან ვუკოვი და ბორისლავ სტეფანოვიჩი (ორივე „ვოივოდინადან"). თუ დადგინდა, რომ ეს გაეროს სანქციების დარღვევაა, „ვოლენდამი" 600 ათასი გულდენით დაჯარიმდება.

ურუგვაის ნაკრების ფრე ბრაზილიასთან ბევრმა წარმატებულად ჩათვალა, მაგრამ ასე არ ფიქრობენ თვით ურუგვაიში. სამშაბათს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლუის კუბილა გამოეთხოვა ნაკრებს, უკვე გუშინწინ კი ახალი მწვრთნელი დაინიშნა — ილო მანეირო.

იტალიის ჩემპიონი „მილანი" სამშაბათს „სან-სიროზე" მადრიდის „რეალს" შეხვდა ამხანაგურ მატჩში. მასპინძლები იგებდნენ 3:0 (სიმონე, პაპენი, ბობანი), შემდეგ კი „რეალმა" შეძლო ორი ბურთის გატანა (მიჩელი, სამორანო). ხვალ „მილანი" იტალიის სუპერთასისთვის მატჩში „ტორინოს" შეხვდება.

დანიის ნაკრების თაყვანისმცემლები მეცხრე ცაზე არიან — ნაკრებში დაბრუნდა მიქაელ ლაუდრუპი, რომელიც მწვრთნელ რიქარდ მიოლერნილსენთან უთანხმოების გამო სამი წელი განუდგა ეროვნულ ნაკრებს. ამ ამბავს დიდი აღფრთოვანება არ გამოუწვევია ლიტვაში, ვისი ნაკრებიც 25 აგვისტოს თამაშობს დანიაში. სწორედ ამ მატჩშია დაგეგმილი უფროსი ლაუდრუპის „დებიუტი".

ფიფამ 16-16 ათასი დოლარით დააჯარიმა ბოლივიისა და ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციები. როგორც ვიუწყებოდით, ამ ქვეყნების ნაკრებთა თამაშის შემდეგ ორ ფეხბურთელს ორგანიზმში კოკაინი აღმოუჩნდათ, რომელიც, თურმე, ჩაის სმის დროს შეჰპარვიათ. ფიფამ ასეთი სანქცია უპასუხისმგებლოდ ჩატარებული დოპინგ-ტესტის გამო მიიღო.



მიქაელ ლაუდრუპი

# უბრალოდ პელე



პელე ყოფილ სატრფოსთან შუშასთან ერთად

1963 წელი იდგა. მსოფლიოს სტადიონებზე სჭექდა და ჰქუხდა 23 წლის ბრაზილიელი ახალგაზრდის პელეს სახელი. სტატისტიკოსები და ბიოგრაფები საგანგებოდ აღრიცხავდნენ მის თითოეულ ნაბიჯს, ...უმცა, როგორც სულ ახლახანს, 11 აგვისტოს გაირკვა, ერთი გამოპარვიათ. ბიოგრაფებს? ბიოგრაფებს კი არა და თავად „ფეხბურთის მეფესაც" გამოპარვია, რომ...

1991 წლის ერთ მშვენიერ დღეს, ქალაქ სანტუშის სასამართლოში შევიდა ახალგაზრდა ქალი, სანდრა რეჯინა მაშადუ და სარჩელი აღძრა, სადაც განაცხადა, რომ იგი პელეს ქალიშვილია და მამიკოსგან ამის აღიარებას მოითხოვს. მაშინ დაწყებულმა ძიებამ, აგერ გასული კვირის ოთხშაბათამდე გასტანა. გენეტიკურ-მოლეკულური ანალიზის საფუძველზე საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ ედსონი და სანდრა მართლაც მამაშვილი არიან.

„1966 წლამდე, ანუ დაოჯახებამდე (პელე ცოლს 1978 წელს გაეყარა ... სამი ვაჟის მამაა) მართლაც მრავალი სასიყვარულო თავგადასავალი მქონდა, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი ბავშვის ჩასახვა ამერიდებინა ქალისთვის, რათა უხერხულ მდგომარეობაში არ ჩამეყენებინა. სანდრა, როგორც ჩანს, უყურადღებობის შედეგია" — თქვა დიდმა ბრაზილიელმა.

ეს ამბავი მართლაც ჩამოჰგავს „უბრალოდ მარიასა" და მსგავს „საპნის ოპერებში" აღწერილ ამბებს. თითქოს კეთილი დასასრული მოახლოვდა, მაგრამ... პელეს ვექილმა ქოში უკუღმა ჰყარა, საქმე მაღალ ინსტანციებში უნდა გავასაჩივროო. მას ეშინია, რომ თუ ერთი პრეცედენტი მოხდა, მერე „ფეხბურთის მეფეს" ნახევარი ბრაზილია მიანწყდება, ჩვენც შენი შვილები ვართ და ქონება გაგვიყავიო.

არადა, სანდრა თურმე საოცრად ჰგავს ახლადაღმოჩენილ მამას.

### მსოფლიოს ჩემპიონატი



# ოტი ისევ დაჩაგრეს

შტუტგარტში შეჯიბრების ნახევარი გაილია. ოთხშაბათს მძლეოსნები, მსაჯები და მაყურებლები ისვენებდნენ. პირველ ნახევარში ჯილდოების 19 კომპლექტი დარიგდა. ექვს ოქროს ამერიკელები დაეპატრონენ, ორ-ორს — კენიის, ჩინეთისა და გერმანიის გუნდები, თითოს — დიდი ბრიტანეთი, ტაჯიკეთი (!), ჩეხეთი, მოზამბიკი, ფინეთი, იაპონია და ესპანეთი. რუსეთის მონაგარი ჯერჯერობით მარტოოდენ ოთხი ვერცხლის მედალია.

ჩემპიონატის მესამე დღე სახიამოვნო ამბით დაიწყო. იააფ-ის პრეს-მდივანმა გამოაცხადა, რომ ფულს დახარბებული ნურადინ მორსელი გონს მოეგო და ყაბულსაა, ჩემპიონის სახელი და „მერსედესი" იქმაროს, თუკი 1500 მეტრზე პირველ ადგილს დაიკავებსო. არადა, ალჟირელი მორბენალი ორი დღის წინ, შეჯიბრებიდან თავი რომ დაეძვრინა, ბავშვურ ეშმაკობასაც არ მოერიდა: ჩემს ქვეყანაში შესარჩევ შეჯიბრებაში არ მიმონაწილეია; ჰოდა, მაკკოიზე ან ონდიეკიზე უკეთესი რითი ვარ, მაინც რომ მიშვებთ სარბენლადო. ასეა თუ ისე, მორსელი ახლა კი დანამდვილებით დადგება სტარტზე, რითაც ყველა დაინტერესებულმა შვება იგრძნო.

სამაგიეროდ, იამაიკელ ვეტერან მორბენალ ქალ მერლინ ოტის ამ დღეს კიდევ ერთხელ დაანწყდა კუნთებიცა და ნერვებიც. მოკლე სპრინტში იგი ხედ ფინიშზე წამოეწია და, მისი აზრით, კიდევაც გადაასწრო ამერიკელ გეილ დივერსს. ფოტოფინიშმა და მსაჯებმა სხვაგვარად განსაჯეს: დივერსს შედეგად 10,81 დაუმტკიცეს, ოტის — 10,82. კარიბელებმა განაჩენი გაასაჩივრეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ოტის ... ხანგრძლ... კარიერის მანძილზე ფაქტიურად არაფერი მოუგია, მეორე... ... ახლა ... 200 მეტრზე ... იმედილა აქვს.

ქალებმა ამ დღეს კიდევ ერთ სახეობაში — 3000 მეტრზე რბენაში იასპარეზეს. ფინალი სენსაციურად დამთავრდა: ჩინეთის სამეულმა ბრძნული ტაქტიკა აირჩია — აედევნა დაწინაურებულ ბრიტანელ ივონ მარის, ფინიშამდე წრენახევარით ადრე კი შეხმატკბილებულად უმატა სიჩქარეს და მთელი კარცხლბეკი დაიპყრა. ვინაიდან დღემდე ვერ გაგვირკვევია ჩინური გვარების წაკითხვის წესი, თან ისიც ვერ დაგვიდგენია, სამი სიტყვიდან სახელი რომელია და გვარი რომელი (თუკი ამგვარი განსხვავება საერთოდ არსებობს), აქ ჩინელთა შედეგების მოტანით შემოვიფარგლოთ: 8.28,71, 8.29,25 და 8.31,95.

არანაკლები ტაქტიკური ბრძოლა გაჩაღდა 5000 მეტრზე კაცთა შეჯიბრების ფინალშიც. ერთმანეთს აფრიკის გუნდები — კენია, ეთიოპია და მაროკო დაერივნენ. შავმა კენიელებმა მაღრიბელი-ოლიმპიური ჩემპიონი ხალიდ სკა ამოიღეს მიზანში: მაიკლ ჩეზირეს იგი უნდა მოექანცა, სხვებს კი ეზეირათ. მართლაც ასე მოხდა: მაროკოელი საბოლოოდ მეხუთე ადგილზელა დარჩა, ოთხნახევარი წრის შემდეგ კი წინ 18 წლის ისმაილ კირუი გაიჭრა და ბოლომდე არავისთვის დაუთმია პირველობა 13.02,75.- რაც შეეხებათ ეთიოპებს, მათ 13.03,17 და 13.05,40 აჩვენეს და მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს — ზაილე გაბრესილასემ ფიტა ბაისას აჯობა.

ვაჟთა ორ შეჯიბრებაში საგულისხმო დამთხვევა ალინუსხა: ჩეხმა შუბის მტყორცნელმა იან ჟელეზნიმ და ამერიკელმა სამხტომელმა მაიკ კონლიმ ბოლოსწინა, მეხუთე ცდებითლა გაინაღდეს გამარჯვება. ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ჟელეზნის შედეგი — 85,98 მ ჩემპიონატების რეკორდია, კონლის 17,86 მეტრზე ნახტომი კი სეზონის საუკეთესო შედეგია.

ორშაბათსვე დაიწყო უნივერსალ ქალთა — შვიდჭიდელთა შეჯიბრება. ამ დღეს მონაწილეებმა ოთხ სახეობაში იასპარეზეს, რის შედეგად ამერიკელი ჯეკი ჯოინერ-კერსი დაწინაურდა. იგი 8 ქულით



მაიკლ ჯონსონი

უსწრებდა ბელორუს სვეტლანა ბურაგას.

შვიდჭიდელთა ასპარეზობა ჩემპიონატის მეოთხე დღეს, სამშაბათს დასრულდა. ბოლოსწინა, მეექვსე სახეობის — შუბის ტყორცნის წინ გერმანელი საბინა ბრაუნი 180 ქულით ჩამორჩებოდა ამერიკელს, მაგრამ იმარჯვა და ბოლო სახეობის — 800 მეტრზე რბენის წინ 7 ქულით გადაასწრო. რბენა ჯოინერის სტიქიაა. ჩემპიონი რომ გამხდარიყო, ჯეკის სულ ცოტა ნახევარი წამით უნდა ეჯობნა მეტოქისათვის. მართლაც, ორდღიანი ასპარეზობით არაქათგაცლილმა ამერიკელმა მიზანს მაინც მიაღწია და შვიდი სახეობის ჯამში 14 ქულით გაუსწრო გერმანელს. ბურაგა მესამე ადგილზე დარჩა. აქვე შევნიშნავთ, რომ ჯოინერი 1987 წელს უკვე ყოფილა მსოფლიოს ჩემპიონი, ბრაუნი — 1991 წელს.

ბრაუნის დამარცხებისთვის ერთგვარი რევანში მასპინძლებმა მაინც აიღეს. ბადროს მტყორცნელ ვაჟთა შეჯიბრებაში 67,72 მეტრით პირველი ლარს რიდელი იყო, მესამე — იორგენ შულტი 66,12 მ. ორ გერმანელს შორის რუსი დიმიტრი შევჩენკო ჩადგა — 66,98 მ.

სამშაბათის საღამო ქალთა და ვაჟთა ორ-ორმა ფინალურმა გარბენმა დაამშვენა. პირველებმა ქალებმა გაირბინეს 400 მეტრი, ანუ ერთ წრე. ფინიშის სწორამდე



ჯეკი ჯოინერ-კერსი

რუსი ტატიანა ალექსეევა ლიდერობდა, შემდეგ კი მას ამერიკელებმა ჯოულ მაილსმა და ნატაშა კაიზერ-ბრაუნმა, აგრეთვე იამაიკელმა სანდი რიჩარდსმა გაუსწრეს და მეოთხე ადგილზე დატოვეს. გამარჯვებული მაილსის დრო — 49,83 სეზონის საუკეთესო შედეგია.

ქალების კვალად ვაჟები გაიქცნენ ერთ წრეზე. ამ დროისთვის უკვე სასიამოდ გრილოდა და ნიავიც ქროდა. მოსეირეები აშშ-კენიის მიკრო-მატჩს ელოდნენ, რაკიღა წინადღით ერთ ნახევარფინალში სამსონ კიტურმა (კენია) მაიკლ ჯონსონი (აშშ) დაამარცხა, მეორეში კი ორმა ამერიკელმა: ქვინსი ვოტსმა და ბუჩ რენოლდსმა კენიელ სამუელ კემბოის აჯობეს.

ფინალში სტარტიდანვე ჯონსონი, რენოლდსი და ნიგერიელი სანდი ბარდერი დაწინაურდნენ. მათ მხარდამხარ ირბინეს 300 მეტრი, მაგრამ ბოლო მოსახვევში ჯონსონმა „გარეკა" და სეზონის საუკეთესო შედეგით — 43,65 გაიმარჯვა. ფინიშთან მეორე ლეგენდარული რენოლდსი მივიდა. მესამე კიტური იყო, მეოთხე — ვოტსი, რომელსაც გადამწყვეტ ... წამი გასძვრა. ამ გამარჯვებით ჯონსონი გახდა პირველი ძლეოსანი, ვისაც მსოფლიო ჩემპიონობა 200 მეტრზეც მოუპოვებია და 400-ზეც. არადა, ამ ორი დისტანციის შეხამება ერთობ საძნელო საქმეა.

800 მეტრზე რბენამ ცოტა არ იყოს დაჩრდილა 800 მეტრზე ფინალური გარბენები. ქალებში, ფინიშამდე 200 მეტრი რომ რჩებოდა, წინ აჭაც რუსები იყვნენ, მაგრამ მოზამბიკელი პალინა რუს ნურუტდინოვას შეეჯახა და დოლს გამოაკლო. სეზონის საუკეთესო შედეგით — 1.55,44 გაიმარჯვა მოზამბიკელმა მარია მატოლამ. მეორე ადგილი რუსმა ლიუბოვ გურინამ დაიკავა, მესამე — რუმინელმა ელა კოვაჩმა.

ორ წრეზე კაცების რბენა მოულოდნელად დასრულდა. გამარჯვება 33 წლის კენიელ პოლ რუტას დარჩა — 1.44,71. მეორე ადგილზე იტალიელი ჯუზეპე დოხი გავიდა, მესამეზე — წინა ორი ჩემპიონატის გამარჯვებული ბილ კონჩელა (კენია).

დაბოლოს, სამშაბათსვე დაიწყო ვაჟთა გრძელი სპრინტის შესარჩევი შეჯიბრებები. კარლ ლუისის დამამხობელს, ბრიტანელ ლინფორდ კრისტს ანგინა შეეყარა და შეჯიბრებას გამოაკლდა.

რეზო ნემსაძე



# რისთვისღა, ბორდმენ?

ოლიმპიური ქარტიის მიერ დიდი ხნით ორად გახლეჩილი სპორტული სამყარო ნელ-ნელა მთლიანდება. სოკ-ის თავკაცმა სამარანჩმა ჭკუა იხმარა და ოლიმპიადებზე პროფესიონალებიც დაუშვებინა, რითაც ყველას — განურჩევლად გასამრჯელოსთან და ჯილდოებთან დამოკიდებულებისა, იმის შანსი მიეცა, რომ ჭეშმარიტად უძლიერესთა გარემოცვაში სცადოს ძალა.

თუ სადმე იყო საინტერესო მოყვარულთა და პროფესიონალთა გაჯიბრება, ისევ ველოსპორტში. თუ გზატკეცილზე „ტური", „ჯირო" და „ვუელტა" ერთი ათად მაინც ჩრდილავდნენ პოლიტიკური პათოსით გაჟღენთილ „მშვიდობის ველორბოლას", სატრეკო დისციპლინებში ასე არ იყო საქმე. მოყვარულ კოპილოვ-ჰესლიხეკიმოვებს წლობით პროფესიონალებზე უკეთესი შედეგები ჰქონდათ. კიდეც ოხუნჯობდნენ: მოყვარულებს ისე უყვართ ველოსიპედი და ამის ხათრით იმდენსვარჯიშობენ, რომ ბევრად სჯობიან პროფესიონალებს, რომლებიც ოდენ ლუკმა-პურის საშოვნელად ატრიალებენ პედლებსო.

ამგვარ ქილიკს ამიერიდან ბოლო მოეღება. ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ, რომელიც წევრთა სტატუსის შესაბამისად აქამდე ორ ქვეფედერაციად იყოფოდა და ერთი შეჯიბრების ფარგლებშიც ორ პარალელურ — მოყვარულთა და პროფესიონალთა მსოფლიო ჩემპიონატს მართავდა, ერთი ნაბიჯიც გადადგა ველოსპორტის ინტეგრაციისათვის. მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც ამ სამშაბათს ნორვეგიის ქალაქ ჰამარში დაიწყო, მოყვარულები და პროფესიონალები ტრეკზე ერთად იასპარეზებენ. რაც შეეხება მეგზატკეცილეებს, ისინი, ჩვენთვის ჯერაც უცნობი მოსაზრებების გამო, კვლავ თავ-თავიანთ შეჯიბრებებს გამართავენ.

ჰამარის შეჯიბრება სატრეკო ნომრებით დაიწყო. ტრეკი ჩისაა. იგი ქალაქის ახალ სპორტულ დარბაზში სახელდახელოდ გამართეს. ჰამარს 1994 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელს ლილო... ჰამერს 80 კილომეტრი აშორებს, ამიტომ ზოგიერთი სახეობის წარმომადგენელთა თავისთან გადაპატიჟებას აპირებს. დარბაზი, რომელშიც ტრეკი მოეწყო, უნივერსალურია. მასში უკვე გამართელა ჰოკეიბენდისა და შორტ-ტრეკის შეჯიბრებები.

ჯერჯერობით გათამაშდა ერთადერთი მედალი. კილომეტრიან რბოლაში დროზე (ე.წ. ჰითში) ყველასათვის მოულოდნელად 19 წლის ორლეანელმა ფრანგმა ფლორიან რუსომ გაიმარჯვა — 1.03,930. მეორე ბარსელონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, ავსტრალიელი შეინ კელი იყო, მესამე კი გერმანელი იენს გლუკლიხი. აღსანიშნავია, რომ ფრანგებს ჰითში 1966 წლის შემდეგ სამშაბათამდე აღარ გაემარჯვათ.

სპრინტერები შესარჩევ რბოლებს მართავენ. ბოლო 200 მეტრზე საუკეთესო დრო — 10,258 ასევე ბარსელონის ვერცხლის მედალოსან ავსტრალიელს, გერი ნივანდს აღმოაჩნდა. მეორე ბარსელონაში ნივანდის მჯობნი გერმანელი იენს ფიდლერი იყო — 10,348, მესამე კი კიდევ ერთი ავსტრალიელი დარენ ჰილი 10,433. ქალთა შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგი — 11,474 რუს გალინა ენიუხინას ჰქონდა.

გამოვლინდნენ 4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლის ფინალისტებიც. ერთ ნახევარფინალში ბრიტანული დერბი გაიმართა: შოტლანდიელმა გრემ ოუბრიმ ინგლისელ კრის ბორდმენს აჯობა საკმაოდ კარგი შედეგით 4.22,668. აღსანიშნავია, რომ ოუბრიმ ივლისში მსოფლიო რეკორდი დაამყარა საათიან რბოლაში, მაგრამ ბორდმენმა დიდი ხნით არ აცხარა სქოთი: სამი დღის თავზე გააუმჯობესა მისი შედეგი. ახლა ბორდმენი აცხადებს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ პროფესიონალებში გადავა. საკითხავია, რისთვისღა, თუკი ორივენი ერთად ასპარეზობენ. რაც შეეხება ოუბრის, გუშინ იგი ფინალში ფრანგ ერმინელს უნდა შეჯიბრებოდა.

ვალერი ჯიქია



# ორი ქართველი პრეტენდენტი

16 აგვისტოს ჯაკარტაში დამთავრდა ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირი, რომელშიც 33 მოჭადრაკე იბრძოდა პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის 7 საგზურისთვის. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით, 13 ტურად მოეწყო.

ასპარეზობა დასრულდა ქართველი დიდოსტატის ქეთევან არახამიას გამარჯვებით. მან დაუმარცხებლად 9,5 ქულა დააგროვა. ქეთევანს ნახევარი ქულით ჩამორჩა ალისა გალიამოვა-ივანჩუკი (უკრაინა). მესამე ადგილზეა მაია ჩიბურდანიძე, მეოთხეზე — ალისა მარიჩი (იუგოსლავია), მეხუთეზე — ჩინელი ზაოგინ პენგი (თითოეულმა 8,5 ქულა მოაგროვა, ადგილები კი კოეფიციენტთა ცხრილით განაწილდა). მეექვსე ადგილი წილად ხვდა პია კრამლინგს (შვედეთი), მეშვიდე — ქრისტინა ფოიშორს (რუმინეთი) — 8-8. პრეტენდენტთა ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება შვიდივემ მოიპოვა.

ნინო გურიელმა 7 ქულა დააგროვა, ნინო ხურციძემ — 6,5.

პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი გაისად გაიმართება. შვიდეულს მხოლოდ ერთი დიდოსტატი დაემატება: სე ცზიუნ — ნანა იოსელიანის მატჩში (იგი 25 ოქტომბერს დაიწყება მონტე-კარლოში) დამარცხებული.

თენგიზ გიორგაძე, საერთაშორისო არბიტრი



**ქეთევან არახამია**

დაიბადა 19.07.1968, ოჩამჩირეში. ოსტატი გახდა 1984 წელს, საერთაშორისო ოსტატი — 1985 წელს, საერთაშორისო დიდოსტატი — 1987 წელს. არის საქართველოს სამგზის (1983, 1984, 1990), სსრ კავშირის (1990) ჩემპიონი. 1985 წელს მოიპოვა 20 წლამდე ასაკის გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონობა, 1990 წელს მონაწილეობდა ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაში (სსრკ ნაკრების შემადგენლობაში), სადაც ვერცხლის მედალი დაიმსახურა, თავის დაფაზე კი 12-დან 12 ქულა მოაგროვა. მრავალი საერთაშორისო ტურნირის პირველი პრიზიორია. დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი (გერმანული ენის ფაკულტეტი). პრეტენდენტთა ტურნირში მხოლოდ ერთხელ (1988) მიუღია მონაწილეობა.



**მაია ჩიბურდანიძე**

დაიბადა 17.01.1961, ქუთაისში. ოსტატი გახდა 1974 წელს, საერთაშორისო ოსტატი — 1976 წელს, საერთაშორისო დიდოსტატი — 1977 წელს. არის ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი (1978-1991), ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1978, 1980, 1982, 1984, 1986, 1992; ბოლო ტურნირში — საქართველოს ნაკრებში). ოთხჯერ დაჯილდოვდა საჭადრაკო „ოსკარით" (1984, 1985, 1986, 1987). იყო სსრ კავშირის ჩემპიონი (1977). 1984 წელს გახდა ვაჟებში საერთაშორისო დიდოსტატი. გამოსცა წიგნი „ვთამაშობ მამაკაცების წინააღმდეგ" (1984). პროფესიით ექიმია. პრეტენდენტთა ტურნირში მესამედ ითამაშებს.

## შედეგთა დაფა

### ჩოგბურთი

ტორონტო. კანადის ღია ჩემპიონატი ერთეულები: I წრე. ლეილა მესხი — რენე სიმფსონი (კანადა) 6:3, 6:4. II წრე. მესხი — ნატალია ზვერევა (ბელორუსია) 6:4, 7:6
წყვილები: მესხი, ევგენია მანიუკოვა (რუსეთი) — სიმფსონი, კელესი (კანადა) 6:2, 6:3

### ჭადრაკი

ბადენ-ბადენში (გერმანია) კვირას დამთავრებულ ტურნირში გაიმარჯვეს: ზურაბ სტურუამ (საქართველო), შტეფან კინდერმანმა და ფილიპ შლოსერმა (გერმანია) — 7,5 ქულა. თითოეულმა 2 800 მარკა მიიღო

### რაგბი

სამხრეთ აფრიკის ტურნე ავსტრალიაში. XI, ბოლოსწინა თამაში. სიდნეი. 17 VII სიდნეის ნაკრები 20 „ქურციკები" 31 მესამე, გადამწყვეტი ტესტი ხვალ გაიმართება სიდნეიში. სერიის ანგარიშია 1-1

### თანამედროვე ხუთჭიდი

აქამდე არ გამოგვიქვეყნებია 7-8 აგვისტოს გერმანიაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები კაცთა პირად პირველობაში: 1. რიჩარდ ფელპსი (დიდი ბრიტანეთი) — 5755 ქულა; 2. ლასლო ფაბიანი (უნგრეთი) — 5669; 3. სებასტიენ დელენი (საფრანგეთი) — 5551

### წყალჯომარდობა

შეფილდში ახლახანს გამართული ევროპის ჩემპიონატის იმ გამარჯვებულთა ვინაობა, თავის დროზე რომ ვერ გაცნობეთ: ცურვა. კაცები. 4 X 100 მ ესტაფეტა თავისუფალი სტილით — რუსეთი. ქალები. 100 მ ბრასი — სილვია გერაში (გერმანია). წყალში ხტომა. კაცები. 3 მ ტრამპლინი — იან ჰემპელი (გერმანია). ქალები. 3 მ ტრამპლინი — ბრიტა ბალდუსი (გერმანია). სინქრონული ცურვა. სოლო. ოლგა სედაკოვა (რუსეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „მამები“ დიდი მწვრთნელების წინააღმდეგ

1991 წლის მსოფლიო თასის გათამაშება თანამედროვე რაგბის განვითარების ერთ-ერთ ნიშანსვეტად იქნა აღიარებული. შეჯიბრებამ რაგბი მთელ მსოფლიოს, მეტადრე კი არასარაგბო ქვეყნებს, გააცნო ეშხიან, თვალწარმტაც სანახაობად, რის გამოც ყველგან იმატა ბურთაობის ამ სახეობით დაინტერესებამ.

გამოხდა სულ რაღაც ნახევარი წელი და მსოფლიოში რაგბის განმგებელმა გაერთიანებამ — რაგბის საერთაშორისო საბჭომ (ირბ) საფუძვლიანად შეასწორა თამაშის წესები. თუ წიგნაკად გამოცემული რაგბის წესები ქართულად მანამდე 80 გვერდზე ეტეოდა, შესწორებები იმავე ზომის 16 გვერდზე გაიჭიმა. სულ შეიცვალა 44 დებულება, ე.ი. კოდექსის დაახლოებით 20%.

ირბ-მა იმთავითვე სიამაყით შენიშნა, რომ „თუმცაკი რაგბი ყვავის და კრიზისის ნიშანწყალიც არ ეტყობა, მაგრამ მისი მეტად გამშვენიერება არ გვაწყენდაო. აი, სწორედ ამას ემსახურება თამაშის წესების მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის უდიდესი გადასინჯვაო“.

ირბ-ის ხელმძღვანელ ორგანოში — მის ალმასკომში მსოფლიო რაგბის ბუმბერაზი 12 ქვეყნის რაგბის მამებს მოუყრიათ თავი. ისინი კონსერვატორობითა და სიჯიუტით არიან ცნობილი, რის საბუთადაც ისიც იკმარებს, რომ ბარემ უკვე ათწლეულია, რაც ხანდაზმული მამები ნემსის ყუნწში ძვრებიან და კანონებს ისე ჭრიან და კერავენ, რომ თხუთმეტკაციანი რაგბის გაპროფესიულება არასგზით დაუშვან. და აი, უცებ ეს დინჯი ხალხი ისე აცუნდრუკებულა, რომ ლამის ყოველი მეხუთე წესი შეუცვლია მშვენიერის კიდევ უფრო გამშვენიერების დემაგოგიური ლოზუნგით.

წესების გადახალისებას სარაგბო საზოგადოებრიობა — მოთამაშეები, მწვრთნელები, მსაჯები და მაყურებლები — არაერთგვაროვნად შეხვდა. თუკი გულშემატკივრები სასეიროდ განეწყვნენ, მსაჯები კი ახალი წესების დასაზუთხად და გასააზრებლად, მოწინავე მწვრთნელებმა იმთავითვე საგანგაშო ზარები დაარისხეს: აქაო და „წესებს რომ ცვლიდით, ჩვენ რატომ არ დაგვეკითხეთო. განა უსარკმლო კაბინეტებში გამოკეტილმა ბებერმა ფუნქციონერებმა უნდა გვიკარნახონ ჩვენ, მსოფლიოს დიდი გუნდების დიდ მწვრთნელებს, როგორი რაგბი სჯობიაო!“

მწვრთნელები ტყუოდნენ. ირბ-ს წესად აქვს, ყოველ მსოფლიო თასამდე ორი წლით ადრე წესების გადასინჯვას ყადაღა დაადოს. ყოველი მსოფლიო თასის შემდეგ საბჭოს წევრი კავშირებიდან იწყება წინადადებათა მიღება. შემოსული წინადადებები გროვდება და წესების [illegible]ვლამდე კარგა ხნით ადრე განსახილველად ისევ კავშირებს უბრუნდება. კავშირების აზრის გამოკითხვის შემდეგღა წყვეტს ირბ-ის წესების კომიტეტი, ალმასკომს რომელი შესწორებები წარუდგინოს დასამტკიცებლად.

მოკლედ, დიდი მწვრთნელები ტყუოდნენ, წინდახედული კანონმდებლები კი ფრთხილობდნენ — რის სისწორესა და ვარგისიანობაში მთლად ვერ იყვნენ დარწმუნებული, საცდელ შესწორებებად გამოაცხადეს. საერთოდ, წესების საცდელი შესწორებების კოდექსში შეტანა მოდური 1970-იან წლებში გახდა და უმეტესწილად კიდეც გაამართლა.

შარშანდელ შესწორებებში ბევრი რამ უდაო იყო. მათზე კრინტიც კი არავის დაუძრავს. სადაო და სადავიდარაბო შეიქნა ორი საცდელი წესი: ერთი, რომელიც დერეფნად მოწყობასა და ბურთის მოსაგებად ახტომას განსაზღვრას, მეორე — რაქისა და მოლის ხანგრძლივობასა და მათ შედეგად დანიშნულ შერკინებაში ბურთის შემგორებელ გუნდს.

ახალი წესებით დერეფანში მეტოქე მწყობრებს შორისი შუალედი ნახევარი მეტრიდან ერთ მეტრამდე გაიზარდა, მწყობრს შიგნით თანაგუნდელთა შორის არანაკლებ მეტრიანი დისტანციის დაცვის მოთხოვნა კი გაუქმდა. ერთი სიტყვით, შარშანდელიდან მოყოლებული დერეფანი ისე ეწყობა, რომ ბურთისათვის მხტომელთან თანაგუნდელები უფრო ახლოს არიან, ვიდრე მეტოქეები, რაც კარგი მხტომელის მიერ ბურთის დაუფლების და შემდეგ გუნდის მიერ მისი შენარჩუნების შანსს ზრდის. გარდა ამისა, აიკრძალა ბურთის დასაუფლებლად ოდენ მეტოქისგან შორი (სარაგბო ჟარგონზე „გარე“) ხელის ხმარება, რაც გამორიცხავს ბიძგებასა და პაერში შეხლა-შემოხლას.

ურწმუნო თომებმა დერეფნის ახალი წესი თავიდანვე მიზანში ამოიღეს: „გარე“ ხელით თამაშის აკრძალვა არაბუნებრივი და არადე-მოკრატიულია, ვინაიდან მოთამაშეთა ანატომიურ-ფიზიოლოგიური მონაცემების შელახვა შეუძლიაო. გარდა მაგისა, გულმავიწყი და არხეინი მსაჯი დერეფნის მოწყობისას პირველი ათი-თხუთმეტი წუთი თუ მიადევნებს თვალყურს მეტრიანი შუალედის დაცვას, მერე კი მწყობრები ძველებურადვე დაუახლოვდებიან ერთმანეთსო.

თუ დერეფნის ახალ წესს ოდენ დისკუსია მოყვა, რაქისა და მოლის წესი ნამდვილ სიტყვიერ ომად იქცა. ამ წესის გასინჯვის ერთი წლის თავზე ბევრმა დიდმა მწვრთნელმა მისი შემოღება ტრაგედიად და რაგბის დამაქცეველ ნაბიჯად გამოაცხადა. ამ მწვრთნელების აზრით, ამ სიახლის გამოისობით შეტევის ძველ, ნაცად მეთოდებს ყაელი გაუვიდათ, იმდენად გადაიტვირთა და ჩაიხერგა შუა მოედანიო.

ვიდრე სკეპტიკოსთა სიტყვებს განვსჯიდეთ, მოდით ჯერ ამ სადავო შესწორების არ[illegible]

მოვიტანოთ: თუ მოლში (ან რაქში) ბურთის თამაში შეუძლებელი შეიქნა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოლი გაჯანჯლდა, უძრავი შეიქნა და მსაჯის აზრით იქიდან ბურთი მალე არ გამოვა, მსაჯმა უნდა დაუსტვინოს და დანიშნოს შერკინება, რომელშიც ბურთს ის გუნდი შეაგორებს, რომელიც მოლის დაწყებამდე ბურთს არ ფლობდა.

ახალი პრინციპი ძირფესვიანად ცვლის თამაშის იერს. იგი მოიერიშეს აიძულებს, არ იყოს მოლის (ანუ ჯაჯგურის) იმედად და იგი მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაშიღა შექმნას, შემდეგ კი იქიდან ბურთი უმალ გამოიტანოს, თორემ მას დაკარგავს, რაკილა შეყოვნების შემთხვევაში საქმეში მსაჯი ჩაერევა და შერკინებას მეტოქის სასარგებლოდ დანიშნავს. ამით აზრი ეკარგება „მგორავი“ მოლებით შეტევას, რაც კანონმდებელთა მიზანსაც შეადგენდა: თამაშის მიმზიდველობის გასაზრდელად მათ სურდათ, ნაკლებად ყოფილიყო დაფარული ბურთისთვის ჯაჯგური, ხილული ბურთის გათამაშება კი — მეტად. მიზანი მიღწეულ იქნა, მაგრამ რა ფასად?

რაკილა ბურთი მოლიდან უმალ უნდა გამოიტანო, მეტოქეს ველარ აიძულებ, მოლში დიდი ძალები ჩააბას და დაცვის რიგები შეითხელოს. ამიტომ ახლა ისე ხდება; რომ გადაჯგუფების შემდეგ მოიერიშეს დაცხრილულის ნაცვლად ჭარბ დაცვასთან უწევს შებმა, რაც დაცვის ხაზის გარღვევას უფრო მეტად სათუოს ხდის. შუამარბებს გასაქანი ნაკლებად აქვთ, რის გამოც ფეხით თამაშმა იმატა.

თუ სიტუაციას გავაუბრალოებთ, სკეპტიკოსთა აზრით, გუნდები დაახლოებით ასე მსჯელობენ: „თუ შევუტევთ და პირველივე იერიშით ვერ გავიტანთ ლელოს, ან მსაჯი ჩამოგვართმევს ბურთს, ანაც შემდეგი იერიშებით ლელოს სულ ველარ გავიტანთ. ამიტომ ბურთი მეტოქეს დავურტყათ — დაე, მან შემოგვიტიოს და ჩვენ ვიხეიროთო“.

ზემოთთქმული, ერთი შეხედვით, სიმართლესა ჰგავს, მეტადრე, თუ საუბარი ჩრდილოეთ ნახევარსფეროს გუნდებს შეეხება. შემთხვევითი როდია, რომ წლევანდელ ხუთი ერის პირველობაში გატანილ ლელოთა რიცხვი ერთიორად შემცირდა. არადა, საქმე სულ სხვანაირადაა ეკვატორს ქვემოთ. იქ კი, რა დასამალია, ბარემ ერთი საუკუნეა, რაგბის ყველა ასპექტში უსწრებენ ჩრდილო ნახევარსფეროს.

სამხრეთ ნახევარსფეროს სარაგბო ქვეყნებში მსაჯებს თამაშიცა და წესებიც ჩრდილონახევარსფეროელ კოლეგებზე უკეთ ესმით. იქაური მსაჯები გუნდს ბურთის მოლიდან გამოტანას ადროვებენ და არც მოლის ჩაქცევისა და ბურთის „ჩაკვლის“ მცდელობა რჩებათ შეუმჩნეველი. ამიტომ, თუ მორკინალებმა თავისი საქმე იციან, მოლში იმდენს მიაწვებიან და იმ დროს გამოაჩენენ ბურთს, რომ შუამარბებს გასაქანი ჰქონდეთ, რის გამოც ყველაფერი ძველებურად და უკეთაც იქნება. სამხრეთელთა მატჩებში ბურთი მეტ ხანსაა ხილული, მეტ ხანს თამაშდება, მეტი ლელოც გადის.

ერთი ეგაა, რომ ახალი წესებით მორაგბის დატვირთვა კიდევ უფრო იზრდება — მას მეტი ღონე, მეტი სიმარდე და მეტი გამძლეობა მოეთხოვება, ყველაფერი ამის მიღწევას კი მეტი წვრთნა სჭირდება. წვრთნას დრო მიაქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ცნობილი „მოყვარული“ მორაგბეები, რომლებიც სინამდვილეში ნახევრადპროფესიონალები არიან, მთლად უნდა გაპროფესიონალდნენ.

მოქილიკენი სწორედ ამას უწუნებენ მსოფლიო რაგბის ხელისუფალთ: „დახეთ, ერთის მხრივ, რანაირ შეზღუდვას აღარ იგონებენ, რაგბის სამოყვარულო სტატუსი შეურყვნელად რომ შეინახონ, მეორეს მხრივ კი თამაშის წესებს ისე ცვლიან, მოყვარულმა სპორტსმენებმა ოსტატობის მწვერვალს რომ ველარ მიაღწიონო“.

რაც შეეხებათ რაგბის ძე ცდომილის, ლიგის — ცამეტკაციანი, პროფესიული რაგბის მიმდევრებს, ისინი ზეიმობენ, „თხუთმეტკაციანი თამაში ჩვენს გზას დაადგაო“. მართლაც, ცამეტკაციან რაგბს ხომ უკეთესი ათლეტები თამაშობენ და მთელს მოედანზე გაშლილ-განფენილი დაცვის გადალახვაც ერთობ ჭირს. არადა, ლიგის რაგბის წესებით შემტევს ზედიზედ ექვსი იერიში მაინცა აქვს ლელოს გასატანად, მაშინ როცა ჩვენებური რაგბის მოლის ახალი წესის გადამკიდე — ფაქტიურად ერთადერთი, ოღონდ, რაღა თქმა უნდა, უკუღმართი მსაჯობისა და მორკინალთა სიდედლის შემთხვევაში.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ ირბ მაინც არაფრის დათმობას აპირებს და მწვრთნელებს ისღა დარჩენიათ, მოთამაშეებს ახლებურად თამაში შეასწავლონ.

ხელაღებით კრიტიკას ისევ გარჯა სჯობს.

ზაალ გიგინეიშვილი

სარაგბო სეზონი საქართველოში ზაფხულის არდადეგების შემდეგ ათიოდ დღეში განახლდება. ვინაიდან წლეულს ჩვენი რაგბი სეზონთა სამხრეთნახევარსფეროულ (იმავე საბჭოურ) ათვლას დაუბრუნდა, ირბ-ის მითითების თანახმად წესების ახლადმიღებული შესწორებანი შუაგულ სეზონში უნდა შემოიღოს. ახალთახალ წესებზე გადასვლის ზუსტ თარიღს, იმედია, დაადგენს საქართველოს რაგბის კავშირის ყრილობა, რომლის გამართვაც 11-12 სექტემბრისთვისაა დაგეგმილი.

რაც შეეხება სულ ბოლო შესწორებებს, მათი არსი ასეთია:

(1) როცა მოთამაშე ჭრილობის შესახვევად მოედნიდან გავა, სათადარიგოს მისი შეცვლა დროებით, არაუმეტეს ხუთი წუთით შეეძლება.

(2) არეკნის გატანა აღარ შეიძლება არა მარტო თავისუფალი დარტყმიდან, არამედ მის მაგივრად დანიშნული შერკინებიდანაც.

(3) რაქში ბურთისთვის ხელის ხლების ან მიწიდან მისი აღებისათვის ამიერიდან ისევ საჯარიმო დაინიშნება. შერკინებაში იმავე დარღვევებისათვის ხასჯელად თავისუფალია დაწესებული (?!)

(4) აბრაგანის შემდეგ ბურთის დამჭერ მეტოქეს მიენიჭება შერკინებაში ბურთის შეგორების უფლება, თუკი მას მყის დაიჭერენ, ხოლო ამის შედეგად წარმოქმნილი მოლი გაჯანჯლდება.

(5) 22-მეტრიანი მოედნიდან ამიერიდან ნებადართულია თავისუფალის უშუალოდ კიდეზე დარტყმა.

(6) საჯარიმოდან კიდეზე დარტყმის შემდეგ დერეფანში ბურთის მოსაწოდებლად აუცილებელი აღარაა ბურთის უშუალოდ კიდეზე გადაგდება.

(7) როცა ბურთს კიდიდან უცებ, მაგრამ უსწოროდ მიაწვდიან, შერკინება დარღვევის ადგილზე დაინიშნება.

(8) დერეფანში მეტოქის ნებისმიერი შეხება და მასთან შეხლა-შემოხლა საჯარიმოთი დაისჯება, ბურთისთვის ახტომის გასაიოლებლად თანაგუნდელთან ნებისმიერი კონტაქტი კი — თავისუფლით.

(9) მოლსა და რაქში შესვლა ამიერიდან ნებადართულია ოდენ თამაშგარეს ხაზს უკან და არა უწინდებურად ბურთს უკან.



უცხო ხილი

# გოლფი

გოლფის ზუსტი წარმომავლობა უცნობია, ის კი დანამდვილებითაა დადგენილი, რომ პირველი გოლფ-კლუბი შოტლანდიაში დაარსებულა 1744 წელს. ამის გამოა, რომ გოლფს შოტლანდიურ თამაშად მიიჩნევენ.

გოლფს პროფესიონალებიც თამაშობენ და მოყვარულებიც, ხშირად — ერთადაც. რაღა თქმა უნდა, პროფესიონალთა შეჯიბრება სპორტის ქომაგთა მეტ გულისყურს იპყრობს.

გოლფი, მძლეოსნობისა არ იყოს, ინდივიდუალური სპორტია, თუმცა, ჭადრაკისა არ იყოს, მისი თამაში გუნდურადაც შეიძლება.

გოლფის შეჯიბრებები გოლფ-კლუბებში იმართება. გოლფ-კლუბის სანაჩები ათეულობით ჰექტარზეა გადაჭიმული და ხშირად მოიცავს ტყის კორომს, მდელოს, ღელესა და მისთანებს.

საკუთრივ შეჯიბრება გოლფის გზაზე ტარდება. გზა გოლფ-კლუბის ტერიტორიაზე მიწაში საგანგებოდ გაკეთებული 18 (ზოგჯერ 9) მცირე ორმოს ერთობლიობაა. ორმოების დიამეტრი ისეთია, რომ გოლფის პაწაწკინტელა რეზინის ბურთი, რომლის განზომილებათა ხილვაც მესამე „სარბიელში" შეგეძლოთ, მასში მთლად ლაღადაც ვერ ჩავარდეს.

ორმოებს ერთმანეთს რამდენიმე ასეული მეტრი აშორებთ. აქედან გამომდინარე, გზის სიგრძე რამდენიმე კილომეტრია.

გოლფს ყვანჯით თამაშობენ. ყვანჯი თორმეტნაირია: ზოგი ხისაა, ზოგიც — რკინისა. რკინის ყვანჯები ერთიდან ცხრამდეა გადანომრილი. ყვანჯების სიმრავლე აიხსნება იმით, რომ თითოეული მათგანით ბურთის დარტყმა სხვადასხვა მანძილზე და ყაიდაზე შეიძლება.

გოლფის გზაზე შემდგარ მოთამაშეს ყვანჯების სრული კომპლექტი სჭირდება. ამის გამო ისინი აბგაში აწყვია, აბგა ურიკაზე დევს, ურიკას კი მოთამაშის მხლებელი დააგორებს.

თამაშის მიზანია ის, რომ გზა უსწრაფესად გაიარო, ანუ ბურთისთვის ყვანჯის დარტყმით ბურთი სათითაოდ და რიგრიგობით ყველა ორმოში ჩააგდო ისე, რომ სამისოდ შეძლებისდაგვარად ნაკლები დარტყმა დაგჭირდეს.

აქედან გამომდინარე, გამარჯვებულად მიიჩნევა ის, ვინც გზას ნაკლებ დარტყმაში გაივლის.

თვლისა და შედეგებზე მსჯელობის გასაადვილებლად გოლფში სარგებლობენ შემდეგი სისტემით: გოლფ-კლუბში გზას რომ მოაწყობენ, მალევე დაადგენენ, თუ კარგმა მოთამაშემ იგი რამდენი დარტყმით უნდა გაიაროს. დარტყმათა ამ რაოდენობას ნორმა ეწოდება.

მერე ნორმას შემდეგნაირად იყენებენ: როცა მოთამაშე გზას გაივლის, მის შედეგს ნორმას შეადარებენ და იტყვიან, შედეგი ნორმაზე ამდენითა და ამდენით უკეთესიაო, თუკი იგი ნორმაზე ნაკლებია, ან ამდენითა და ამდენით უარესიაო, თუ მეტია.

ნორმა დადგენილია არა მარტო მთელი გზისთვის, არამედ თითოეული ორმოსათვისაც. თუ ორმოში ბურთის ჩაგდებას ნორმაზე ერთით მეტ დარტყმას მოანდომებენ, ასეთ შედეგს „მაჯლაჯუნას" უწოდებენ. ნორმაზე ერთი დარტყმით უკეთეს (ე.ი. ნაკლებ) შედეგს „ჩიტუნია" ჰქვია, ორით უკეთესს კი — „არწივი". ამ სამი ტერმინის კომბინირებით მიიღება სხვა შედეგთა სახელებიც: მაგალითად, „ორმაგი მაჯლაჯუნა", ანუ ნორმაზე ორით უარესი.



გოლფის თამაში ასე მიმდინარეობს: მოთამაშე მივა სადგურში, ანუ იმ ადგილზე, საიდანაც გზის მორიგ ორმოში უნდა ჩააგდოს ბურთი. მოახლე ურიკით ყვანჯებს მიართმევს. მოთამაშე მიწაზე დადებს ბურთის სადგამს, მერე ზედ ბურთს დადებს, ამოირჩევს სათანადო ყვანჯს და ბურთს ისე დაჰკრავს, რომ იგი შეძლებისდაგვარად ახლოს დაეცეს სამიზნე ორმოდან, რომელიც სადგურიდან ერთობ შორსაა და ამ მანძილიდან რომ შენიშნო, შიგ ჩასობილი ალმითაა მონიშნული.

მოთამაშე მოახლის თანხლებით ახლა იქ მივა, სადაც ბურთი დაეცა და იქიდან ეცდება ბურთის ორმოში ჩაგდებას თუ არა, მასთან მაქსიმალურად მიახლოებას მაინც. საქმე ისაა, რომ ორმოდან სადგურის დაშორებულობის გარდა ამ ორ ადგილს შორის ხშირად ქვიშრობი ან ჯაგნარია, ბალახი კი იდეალურად გაკრეჭილი მხოლოდ ორმოს მიდამოშია.

თუ მოთამაშე თავიდან ყვანჯს მთელი ძალით იქნევს ხოლმე, ბურთი რაც შეიძლება შორს რომ გაფრინდეს, ორმოს შემოგარენში იგი უკვე სულ სხვა ყვანჯით, დინჯად და ფაქიზად გააგორებს ბურთს ორმოსკენ, საიდანაც სანიშნებელი ალამი, რაღა თქმა უნდა, უკვე ამოღებული იქნება.

ერთობ ამაღელვებელია ორმოში ბურთის ჩაგდების, მეტადრე კი ბოლო, მე-18 ორმოს აღების შემდგომი სცენა. მოთამაშე დიდის ამბით ამოიღებს ორმოდან ბურთს, რასაც გოლფ-კლუბში სასეიროდ მისული და გზის გასწვრივ ორმოებთან მოკალათებული მაყურებლის ყიჟინა და ტაში მოჰყვება ხოლმე.

შეჯიბრება ჩვეულებრივ ოთხ დღეს — ხუთშაბათიდან კვირამდე მიმდინარეობს. ყოველდღე თამაშდება თითო წრე, რომლის დროსაც მოთამაშენი გზას ერთხელ გადიან.

## «ორმაგი მაჯლაჯუნა»

მსოფლიოში პროფესიული გოლფის ორი დიდი საკრებულოა — ამერიკისა და ევროპისა. ისინი ცალ-ცალკე მართავენ შეჯიბრებებს. ყველაზე საპატიოდ ბრიტანული „ღია ჩემპიონატი" და ორი ამერიკული ტურნირი: „ღია ჩემპიონატი" და „პროფესიონალთა ასოციაციის ჩემპიონატი" ითვლება. წელიწადგამოშვებით იმართება ამერიკისა და ევროპის ნაკრებთა გუნდური შეჯიბრებაც ე.წ. რაიდერის თასისთვის.

პროფესიონალთა ასოციაციის ჩემპიონატს წინა კვირაში, 12-15 აგვისტოს, ოჰაიოს შტატის ქალაქ ტოლიდოს ინვერნესის გოლფ-კლუბმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში 151 მოთამაშე ჩაება, მათ შორის — 31 უცხოელი. მონაწილეობდა მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ათეულის 9 წევრი, პირველი 25-ეულიდან კი მასპინძლებმა ორადორი მოთამაშე მოისაკლისეს.

ინვერნესის გზისთვის ნორმად 71 დარტყმაა დადგენილი. პირველი წრე მოიგო ამერიკელმა სკოტ სიმფსონმა ნორმაზე 7-ით უკეთესი შედეგით (ანუ 64 დარტყმით). მეორე წრეში გზის რეკორდი — 8-ით უკეთესი გაიმეორა ფიჯელმა ვიჯეი სინგხმა, რომელიც დღესდღეობით ბრიტანეთში სახლობს, და შეჯიბრების პირველი ნახევრის შემდეგ ნორმაზე 11-ით უკეთესით (131) დაწინაურდა. აღსანიშნავია, რომ სინგხმა ამ წრეში ბოლო შვიდი ორმოდან ხუთზე „ჩიტუნია" შეძლო, ე.ი. ნორმაზე თითოთი უკეთესი შედეგი აჩვენა.

მესამე წრეში სინგხმა „ორმაგი მაჯლაჯუნა" იწვნია, ე.ი. ნორმას ორით გადაამეტა და მას ხუთი კაცი წამოეწია, დაწინაურებით კი დაწინაურდა ბრიტანული „ღია ჩემპიონატის" წლევანდელი გამარჯვებული, ავსტრალიელი გრეგ ნორმანი (სურათზე), რომელმაც ამ წრეში 4-ით უკეთესი გააჩერხა, სულ კი 10-ით უკეთესი (203) ჰქონდა. ექვსი მდევარი მას თითო დარტყმით ჩამორჩებოდა.

მეოთხე და ბოლო წრეში, კვირას ნორმანს მეშვიდე ორმოზე „ორმაგი მაჯლაჯუნა" შეემთხვა, მერვეზე — „მაჯლაჯუნა". ამისდა მიუხედავად, მან წრე მაინც 2-ით უკეთესით დაასრულა. სამაგიეროდ, მასპინძელმა პოლ ეიზინგერმა 3-ით უკეთესი აჩვენა და 72 ორმოს, ანუ გზის ოთხგზის გავლის შედეგად ნორმანს დაეწია: შეჯიბრება ორივემ 12-ით უკეთესით (272) დაასრულა.

გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი ორმოები შეირჩა. პირველის აღებამ სტატუს-კვო ვერ დაარღვია. მეორეს აღებისას ეიზინგერი ნორმაში ჩაეტია, ნორმანმა კი 135 სანტიმეტრიდან გაგორებული ბურთი ორმოს ააცილა.

გამარჯვება და პრიზი — 300 ათასი დოლარი ეიზინგერს ერგო.


სარბიელი

# ტოტალიზატორი
"CROCO"

თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, თქვენი პროგნოზის გამართლების შემთხვევაში მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგება შეადგენს დადებული თანხის ოთხმაგ რაოდენობას.

ფსონის მინიმალური თანხაა 500 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

ფსონების მიღება წყდება მატჩის დღეს 16 საათზე. მოგებები გაიცემა მატჩის მეორე დღესვე.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე და სასტუმრო „აჭარის" ფოიეში 12-დან 15 საათამდე.

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 21 აგვისტო | ჰამბურგი — შალკე 04 | | 1,4 | 2,3 | 3,5 |
| | დუისბურგი — შტუტგარტი | | 1,8 | 1,8 | 2,8 |
| | ბორუსია (მ) — ნიურნბერგი | | 2,0 | 2,0 | 2,3 |
| | აინტრახტი — კაიზერსლაუტერნი | | 1,4 | 2,3 | 3,5 |
| 22 აგვისტო | არგენტინა — პერუ | 0:1 | 1,5 | 1,6 | 5,0 |
| | პარაგვაი — კოლუმბია | | 1,7 | 2,0 | 2,8 |
| | ბრაზილია — ეკვადორი | 0:1 | 1,7 | 1,7 | 3,5 |
| | შვედეთი — საფრანგეთი | | 1,7 | 2,0 | 2,8 |


აქეთური, იქითური

კრიკეტი, ალბათ, უნიკალური სპორტია იმით, რომ შარშანდელამდე უმაღლესი დონის საერთაშორისო მატჩებს მასპინძელი ქვეყნების მსაჯები ემსახურებოდნენ, რის გამოც ხშირი იყო ჩხუბი და აყალმაყალი — მეტადრე მაშინ, თუ თამაში ჰინდუსტანის სუბკონტინენტზე იმართებოდა. ამიერიდან დაწესდა, რომ ტესტებსა და ერთდღიან შეხვედრებში ერთი მსაჯი ნეიტრალური ქვეყნიდან იქნება, მეორე მსაჯად კი კვლავაც მასპინძელი ილვაწებს. კრიკეტის საერთაშორისო საბჭოს (იკკ) განცხადებით, ორი ნეიტრალური მსაჯის დანიშვნა მეტისმეტ ხარჯთანაა დაკავშირებულიო.

*

დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას ცდილობს 30 წლის ამერიკელი ქალი ტრეისი ოსტინი, რომელმაც სულ ახალგაზრდამ ორჯერ — 1979 და 1981 წლებში მოიგო აშშ-ს ღია ჩემპიონატი ერთეულთა თანრიგში. შემდეგ ოსტინი ტრავმებმა გააწვალა, ბოლოს კი ავტოკატასტროფაში ფეხიც მოიტეხა. ოსტინმა ტორონტოში მიმდინარე კანადის ღია პირველობის პირველ წრეში სამშაბათს იოლად სძლია თანამემამულე კელერს.

*

სამშაბათსვე ლეგენდარულმა პანამელმა მოკრივემ, 42 წლის რობერტო დურანმა მისურის შტატის ქალაქ სენტლუისში 23 წლის შონ ფიტსპატრიკი მეექვსე რაუნდში დაანოკაუტა. ფიტსპატრიკს აქამდე პროფესიულ რინგზე გამართული 19-ვე ბრძოლა მოგებული ჰქონდა. რაც შეეხება გამარჯვებულს, იგი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია სამ (!) წონაში, რინგზე გამართული 99 ორთაბრძოლიდან კი 90-ში გაუმარჯვნია.

*

ავსტრიელი ავტომრბოლი გერჰარდ ბერგერი კვირას, „ჰუნგარორინგზე" წარმატებით ასპარეზობის შემდეგ იდაყვის ტკივილმა შეაწუხა. როგორც გაირკვა, რბოლამდე ხუთი დღით ადრე ბერგერს ძირმაგარა გაუჰრევინებია. მრბოლს ჭრილობა იმდენად გაურთულდა, რომ ხელმეორედაც უმკურნალეს, ხელი თაბაშირში ჩაუსვეს და მანქანის მართვაც აუკრძალეს, რის გამოც ბერგერი შემდეგ „გრან პრიმდე" თავისი გუნდის — „ფერარის" ვარჯიშებს გამოაკლდება.

*

წინა შაბათს, მეორე ტესტში სამხრეთაფრიკელი „ქურციკების" ძლევით გალაღებულმა მსოფლიოს მოწინავე მელელოვემ, ავსტრალიელი „ვოლაბების" გარემარბმა დევიდ კემპიზიმ მელბურნის ერთ-ერთი რადიოსადგურისათვის ხვალინდელი მესამე, გადამწყვეტი ტესტის წინ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, „სტუმრები ერთობ ულირსად მოგვექცნენ. სმოლის გარდა 9 ნომერი დიუპრე და კვაჰი შმიდტიც მოედნიდან გასაძევებელი იყვნენ ზეუხეშად თამაშისთვისო".

*

პროფესიული გოლფის ქალთა ასოციაციამ ევროპული საკრებულოს მეორე მარად წევრად აირჩია ინგლისელი ლორა დეივისი, ვინც თავისი კარიერის განმავლობაში 15 მნიშვნელოვანი შეჯიბრება მოიგო, მათ შორის ბრიტანეთისა და ამერიკის ღია ჩემპიონატები. მანამდე ასეთივე პატივის ღირსად ასევე ბრიტანელი დეილ რიიდი უცვნიათ.

*

ქალთა ჩოგბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა, 16 წლის ხორვატმა ივა მაიოლიმ, ვისაც მსოფლიო კლასიფიკაციაში 41-ე ადგილი უჭირავს ბუზღუნ-ბუზღუნით მიატოვა გუნდური შეჯიბრებები, რომლებშიც აშშ-ში მთელი თვის მანძილზე მონაწილეობდა. მაიოლის უთქვამს, მათში მონაწილეობას ვეტერანების: კონორსის, ბორგისა და ნავრატილოვას ხათრით დავთანხმდი, თორემ რა მრჯიდა, ქალაქ-ქალაქ რომ მეწანწალაო. ხორვატი გოგონა რამდენიმე წლით დაეთხოვა უფროს პარტნიორებს.

აქეთური, იქითური


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი,
IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)